# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 26 თებერვალი, 2009 წელი.

№ 36 (6137)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## გუშინ – 1921 წლის 25 თებერვლის მოსაგონრად








**გუშინ** მთელ საქართველოში აღინიშნა 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციის დღე. თბილისში ავტომანქანების გაბმული სიგნალითა და ანთებული ფარებით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას. ამ ინიციატივით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი გამოვიდა. დედაქალაქის №1 სკოლის წინ მოსწავლეებმა ცოცხალი ჯაჭვი გააბეს.

ამგვარი აქცია ჩატარდა გორში, ქუთაისში, საჩხერეში, ზუგდიდში, წალენჯიხასა და სხვა ქალაქებში. ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლთან მოეწყო მასშტაბური აქცია, შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მოსწავლეებმა და სტუდენტებმა რეპრესირებულთა მემორიალი მუხნარის ტყე-პარკში გვირგვინებით შეამკეს.

გორში ცენტრალურ მოედანზე ახალგაზრდებმა და სკოლის მოსწავლეებმა ფერადი ცარცებით ომის თემაზე სხვადასხვა ფიგურები დახატეს.

ფოთში ცენტრალურ მოედანზე ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად 1921 წლის რეპრესირებულთა და დაზარალებულთა შთამომავლებიც შეიკრიბნენ და ხანმოკლე მიტინგის შემდეგ ერთხმად გადაწყვიტეს იმ ქუჩების სახელების შეცვლა, რომლებიც ჯერჯერობით ბოლშევიკთა სახელებს ატარებს.



## ④ ალუდამ, ჯონდისგან განსხვავებით, იცის, რა არის სინდისი...

## ვინ ასხვისებს დევნილთა ჩასახლების ობიექტებს? ⑤



გამაფრთხილებელი აქცია

## რუსეთი დაძაბულობას ამძაფრებს ⑧

## გეგმა ⑤ საქართველოს დაქუცმაცებისა



## „ვიდრე ესენი მაგარი ③ ჟურნალისტები გვგონია...“



პარტიებსა და მოძრაობებში

# „მწვანეები“ ალასანიას თაოსნობას აპროტესტებენ

**„მწვანეთა პარტიამ“ ირაკლი ალასანიას მიერ ათ დღეში რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ წამოყენებულ ინიციატივაზე საკუთარი პოზიცია გაახმოვანა. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ საგანგებო პრესკონფერენციაზე ახალდაფუძნებული ალიანსის მოთხოვნაზე ილაპარაკა და საკმაოდ პესიმისტური პროგნოზებიც გააკეთა. მისი თქმით, ხელისუფლება ათ დღეში რეფერენდუმს არ დანიშნავს, რაც საერთო ოპოზიციური მოძრაობის შემდგომ კოორდინირებულ მოქმედებებს საფრთხეს შეუქმნის და ვადამდელი პრეზიდენტის თუ პარლამენტის არჩევნების დანიშვნის ვადებს მნიშვნელოვნად გაახანგრძლივებს.**



— „როგორც ალასანია და ალიანსის წევრები აცხადებენ, თუ ხელისუფლება რეფერენდუმს არ დანიშნავს, გაერთიანება ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებს. ეს ნიშნავს, რომ პროცესში ჩაერთვება კანონით გათვალისწინებული ის ნორმები, რომელთა თანამიმდევრობის დაცვის შემთხვევაში, ხელმოწერების შეგროვებასა და მის შეჯამებას, სულ ცოტა, ნახევარი წელი მაინც დასჭირდება“ — განაცხადა გაჩეჩილაძემ და დასძინა, რომ არსებული რეჟიმისა და საარჩევნო კომისიის პირობებში რეფერენდუმმა შესაძლოა ხელისუფლების „სასიკეთო“ შედეგები აჩვენოს. მისივე განმარტებით, ალიანსში შემავალმა სუბიექტებმა (მემარჯვენეები, რესპუბლიკელებიძ დეტალურად უნდა აუხსნან საზოგადოებას, კონკრეტულად რა იგულისხმება რეფერენდუმის ჩატარების პროცესში და იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება გამოკითხვის გაყალბებას შეეცდება, რა მექანიზმებით აპირებენ მმართველ ძალაზე ზემოქმედებას. დასასრულ გაჩეჩილაძემ უშუალოდ ალასანიაზეც ილაპარაკა და ერთგვარი ქილიკით აღნიშნა, რომ ყოფილი ელჩი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს კარგად არ იცნობს. რაც შეეხება ოპოზიციის საგაზაფხულო გეგმებს, „მწვანეთა“ ლიდერს 9 აპრილს დაგეგმილ აქციაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

**ჯაბა ჟვანია**

პატივგება

## მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე 80 ხე დარგეს და ეკლესიის საძირკველი აკურთხეს!

**მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე სხვადასხვა ჯიშის 80 ხე დაირგო.**

**ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე ხეივანი გაშენდა.**

**რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის პატივსაცემად გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, იფანის, ნეკერჩხალის, საპნის ხის, ნუშის, თრიმლისა და ფიჭვის ნერგები დაირგო.**

**აქციაში გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად მიიღო მონაწილეობა.**

**თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიის საძირკველიც აკურთხეს.**

**ინტერპრესნიუსი**



## „საქართველო პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე!“

**პარტია „თავისუფლების“ ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს დაღუპული იუნკრების ხსოვნას პატივი მიაგო.**



როგორც გამსახურდიამ პარლამენტის წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ კიდევ ერთხელ უნდა გაიხსენოს, რაც 88 წლის წინათ საქართველოში განხორციელდა; გააანალიზოს, რუსეთის სახით რა ტიპის დამპყრობელთან გვაქვს საქმე.

„თავისუფლების“ ლიდერი მიიჩნევს, რომ ჩრდილოელი მეზობელი დღეს უფრო აგრესიულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა და ამის მიზეზი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაა.

ბრიფინგზე გამოვიდა ლოზუნგით — „საქართველო პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე“.

გამსახურდია გამოეხმაურა ოპოზიციის მიერ გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ თავადაც შეუერთდება 9 აპრილის აქციას.

მისივე აზრით, არსებული ხელისუფლების პირობებში რეფერენდუმის ობიექტურად ჩატარების შანსი თითქმის არ არსებობს.

## ქართულ სკოლებს ხურავენ და რუსულად გადააკეთებენ

**პარლამენტში აფხაზეთში რუსეთის მხრიდან ქართული საშუალო სკოლების გაუქმებაზე საუბრობენ.**

როგორც გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილმა განაცხადა, გალის რაიონში არსებული 58 ქართული სკოლიდან დღეისთვის მხოლოდ 31 შემორჩა და მათაც რუსულენოვან სკოლებად გადაკეთების საფრთხე ემუქრება.

მისი თქმით, რაც დღეს ხდება, არის მცოცავი და ფარული ანექსია, რაც პირველ რიგში აფხაზეთისა და აფხაზებისთვის არ არის კარგი.

არსენიშვილი იმედოვნებს, რომ თავად აფხაზები მიხვდებიან, თუ რეალურად რა ზიანის მომტანია მათთვის ეს პროცესები და ადეკვატურ დასკვნებს გააკეთებენ.

**ინტერპრესნიუსი**

ხედვა

# ბრძოლა ქვეყნის და

**ოპოზიცია ნულოვანი მერიდიანიდან დაიძრა და ხელისუფლების შესაცვლელი მარში დაიწყო. უცნობია, სადაა ამ მარშის ფინიში და საერთოდ მიაღწევენ თუ არა მასში მონაწილეები სანუკვარ მიზანს, მაგრამ ცხადია, რომ ხელისუფლებას სიმშვიდე შემოაკლდა. ხელისუფლება აშკარად ელოდებოდა, რაღაც „ჩხვლეტებს“ 9 აპრილისთვის, მაგრამ არა ულტიმატუმებს და, მით უფრო, ახალი ალიანსისგან.**

რასაკვირველია, პრეზიდენტთან „გავლილია“ მოქმედების ყველა გეგმა, შეთანხმებულია სტრატეგიაც და ტაქტიკური სქემებიც, რისი საბოლოო მიზანი ხელისუფლების შენარჩუნებაა, მაგრამ აშკარაა, რომ ალასანიას ულტიმატუმი ამ სქემაში არსად არ იჯდა, ისევე როგორც ბურჯანაძის მოწოდება სახელმწიფო მოხელეებისადმი თანამდებობების დატოვების შესახებ და სალომე ზურაბიშვილის — „არ დავიშლებით“.

ბოლო დროს განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა თვალნათელი გახადა, თუ რას გულისხმობდა დავით გამყრელიძე მემორანდუმის გაფორმებისას, ყველა ჩვენი გზით წავალთ, ჩვენი ტაქტიკითა და სტრატეგიით შევეცდებით მიზნის მიღწევასო.

ამჯერად თავს შევიკავებ და ხელისუფლების ანალიტიკოსებს შრომას არ გავუადვილებ ამ სტრატეგიისა და ტაქტიკის გაშიფრვაში, მით უფრო, რომ ალიანსის შექმნის შესახებ გაკეთებული განცხადების შემდგომ ერთად თავშეყრილი „მამების“ მსჯელობის თემა ეს არ ყოფილა.

ალასანიამ კი, თავისი საჯარო განცხადებისას, ხელისუფლებას მოულოდნელი სარმა დაუდო.

„ვინაიდან მიხეილ სააკაშვილს არ ყოფნის პოლიტიკური ნება, მიიღოს შექმნილი ვითარების ადეკვატური გადაწყვეტილება და გადადგეს თანამდებობიდან, ჩვენ მას ვაძლევთ 10-დღიან ვადას დანიშნოს რეფერენდუმი და ქართველ ხალხს მისცეს გადაწყვეტილების მიღების საშუალება“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ეს იმას ნიშნავს, რომ „მიშა შენ კი ნუ იძახი, არ დავნიშნავ, არ წავალო“, არამედ ხელისუფლების წყარომ — ხალხმა გადაწყვიტოს, არჩევნები უნდა იყოს თუ არა და დაგტოვებს თუ გაგიშვებსო.

ახლა საქმე ისაა, რომ ცნობილი ფრაზა „მე ვარ კანონი“, სააკაშვილისთვის დამღუპველი იქნება. თუმცა, როგორც ალასანიას გამოსვლის შემდგომ თავშეყრილი „მამების“ გონებიდან გამოანათა, მიშა ინტენსიურად უნდა შეხვდეს ხალხს, რომლებიც ეტყვიან — ახლა რეფერენდუმის დრო არაა, რეფერენდუმს არანაკლებ ფული სჭირდება, ვიდრე არჩევნებსო და ასე შემდეგ.



რამდენად უშველის ეს ყველაფერი ხელისუფლებას, ამას დრო გვანახებს, თუმცა ოპოზიციურ ფროტზე მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ პოლიტიკურად ალიანსზე ნაკლები წონის არც იმ გუნდს ექნება, რომელიც ბურჯანაძის ირგვლივ მოიყრის თავს. სავარაუდოდ, ექს-სპიკერის ირგვლივ შექმნილი პოლიტიკური სპექტრი ასეთ სახეს შეიძენს — ნონო ბურჯანაძე-სალომე ზურაბიშვილი და კონსერვატორები, შესაძლოა ამ ფლანგზე აღმოჩნდეს კობა დავითაშვილიც.

ორი ქალბატონის ერთ გუნდში აღმოჩენა ბევრ რამეზე მიუთითებს. თუ უახლოეს წარსულს გავიხსენებთ, სწორედ ბურჯანაძეს ადანაშაულებდნენ ზურაბიშვილის საგარეო უწყებიდან ჩამოშორებაში, რამაც შემდგომ ოპოზიციის ერთერთი ლიდერის დაბადებას შეუწყო ხელი. ამ ვითარებაში კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივემ შესძლო მერკანტელიზმის დამარცხება და საერთო მიზნის გარშემო გაერთიანება.

და მაინც, როგორ განვითარდება მოვლენები „10 დღისა“ და „9 აპრილის“ შემდგომ?

ფაქტია, რომ ხელისუფლება ყოველმხრივ შეეცდება თავის გადარჩენას და ამისთვის მრავალ სქემას გამოიყენებს. სულაც არაა გამორიცხული, რომ ერთ საღამოს პრეზიდენტმა პარლამენტის არჩევნების ჩატარების შესახებ ამცნოს საზოგადოებას და არგუმენტად მოიყვანოს — თუ პარლამენტის არჩევნებს ოპოზიცია მოიგებს, ამის შემდგომ მას შესაძლებლობა ექნება პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი დააყენოს და ეს დემოკრატიის ნორმებს შეესაბამებაო.

რაც შეეხება პლებისციტს, რომლის ჩატარების იდეა ახალ ალიანსს ეკუთვნის, უნდა ითქვას, რომ პლებისციტის შედეგების აღსრულებას ხელისუფლებას კანონი არ ავალდებულებს, მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და შესაბამისად ხელისუფლება შეეცდება, რომ მისი შედეგები საეჭვო გახადოს. არგუმენტად კი პლებისციტში მონაწილეთა დაბალ მაჩვენებელს მოიხმობს.

რადგან ალიანსს სხვა კონკრეტული ქმედებების შესახებ არაფერი განუცხადებია და საზოგადოებას სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებას დაჰპირდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას შემდგომი მოქმედების სტრატეგიაც გათვლილი აქვს.

რაც შეეხება, ბურჯანაძეს, ზურაბიშვილს, კონსერვატორებს და სხვა პოლიტიკურ ძალებს ისინი „9 აპრილისთვის“ ემზადებიან. „9 აპრილი“ საქართველოსთვის ნამდვილად საკრალურ თარიღად იქცა თავისი ტრაგიკული და აღმატებული შინაარსით.

„მე მინდა საზოგადოებას პირობა მივცე, რომ თუ მიხეილ სააკაშვილი 9 აპრილამდე არ გადადგება, გამოვალთ და არ დავიშლებით მანამ, სანამ მიზანს არ მივაღწევთ“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

9 აპრილზე აკეთებენ აქცენტს „კონსერვატორებიც“ და ამ თარიღს არა მხოლოდ ქვეყნის, თავიანთ პოლიტიკურ მომავალსაც უკავშირებენ.

მათ თანაბარი იმედი აქვთ, როგორც ბურჯანაძის, ასევე ალასანიასი. „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, რომ მათ ნინო ბურჯანაძის მხარდაჭერის იმედი აქვთ და აქციის „ალიანსის“ მიერ მხარდაჭერის შემთხვევაში ისინი მათთან თანამშრომლობასაც არ გამორიცხავენ.

ფიქრები



# „ვიდრე ესენი მაგარი ჟურნალისტები გვგონია...“

**უცნობს საკანში (№ 5) ინგა გრიგოლია და ეკა ხოფერია ეწვივნენ.**

არ ვიცი, საკუთარი სურვილით თუ უცნობის მიწვევით, ეს კი მგონია, რომ ამ სტუმრობას ინგა აუცილებლად ინანებდა.

ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ უცნობი ამდენად არ დაინდობდა.

არადა, დანდობას ნამდვილად ცდილობდა.

მაგრამ რა ექნა — თვითონ სიმართლეა სასტიკი და დაუნდობელი!

ინგას კი სიმართლის თავისებური გაგება აქვს.

გასულ კვირას, საკუთარ გადაცემაში, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ნინო ბურჯანაძე — როგორ გაბედე და თქვი, ინგა ნახევრად სიმართლეს ამბობსო.

არადა, ჩვენი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ მთელი ქვეყანა ნახევრად სიმართლეშია ჩაძირული.

ჩვენ მოსე გვჭირდება (ანდა ილია ჭავჭავაძე — კონსტანტინე გამსახურდიამ სწორედ ბიბლიურ მოსეს რომ შეადარაძ, 40 წელი უდაბნოში რომ გვატაროს. იქნებ მაშინ მივხვდეთ, რა არის სიმართლე. იქნებ იმასაც მივხვდეთ, რომ სიმართლე და თავისუფლება უერთმანეთოდ ვერ არსებობენ.

მანამდე მხოლოდ თავს მოვიტყუებთ და ჩვენი სანახევრო სიმართლე ნამდვილი სიმართლე გვეგონება. ჩვენი თავისუფლებაც მოჩვენებითი იქნება.

საკუთარ გადაცემაში ინგა ასე მოჩვენებითად ლაღი და თავისუფალია, რადგან ჰგონია, რომ ნამდვილ სიმართლეს ამბობს.

უცნობთან კი ვერ იყო თავისუფალი.

ამის საშუალებას უცნობი არ აძლევდა, რადგან სიმართლეს ეუბნებოდა.

ოღონდ, ეს იყო არა, უბრალოდ, უცნობის, არამედ თავისთავად, ობიექტურად არსებული სიმართლე, რომელიც ისეთ მედგარ ჟურნალისტსაც კი აფრთხობს, როგორიც ინგა გრიგოლიაა.

რატომ წამოხვედი „იმედიდან“ არჩევნებამდე ათი დღით ადრე? — ეკითხებოდა უცნობი.

— არ მინდოდა, პოლიტიკური მხარე ვყოფილიყავი! — ეუბნებოდა გრიგოლია და თვითონაც იცოდა, რომ ამას არავინ დაიჯერებდა.

თურმე, „იმედი“ მხოლოდ მას შემდეგ ქცეულა „მხარედ“, რაც პატარკაციშვილს „ბოლო თეთრების დახარჯვა“ და პრეზიდენტობაზე კენჭისყრა გადაუწყვეტია.

პრეზიდენტობის კანდიდატის კუთვნილ ტელევიზიაში ვერ დავრჩებოდიო, — ირწმუნებოდა გრიგოლია.

კი, მაგრამ სადაც გადახვედი, ის არხიც ხომ პრეზიდენტობის კანდიდატის კუთვნილება იყოო, — ლოგიკურად ეკითხებოდა უცნობი.

„პრაიმტაიმი“ სხვაგან მზადდებოდა და „რუსთავი-2“, უბრალოდ, გადასცემდაო, — იხტიბარს არ იტეხდა გრიგოლია.

მაგრამ ვინ დაუჯერებდა?

აი, ეს არის, ქალბატონო ინგა, ნახევრად სიმართლე, რის გამოც ნინო ბურჯანაძეს ასეთი რისხვა დაატეხეთ.

მას, რა თქმა უნდა, თავისი ცოდვებიც ეყოფა, ამას კი ცოდვად ნამდვილად ვერ ჩავუთვლით, მით უმეტეს, ვერ შევედავებით დებულებაში, რომელიც ასე განაზოგადა:

„ხოლო ეს ნახევრად სიმართლე გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ის ვითარება, როცა საინფორმაციო სივრცე აბსოლუტურად დახშულია“.

ცხადია, აჯობებდა, ამგვარი აზრები მისგან თავის დროზე, ანუ პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მოგვესმინა, მაგრამ სიმართლე, თავისთავად, ყოველთვის ფასეულია, თუმცა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, ვის ბაგეთაგან ისმის.

...ინგა გრიგოლიას ნახევრად სიმართლე განსაკუთრებით თვალშისაცემია მაშინ, როცა გიორგი თარგამაძეს იცავს.

შეუძლებელია, ვერ ხვდებოდეს, რომ ამაოდ ირჯება.

მაგრამ, ამ დროს ის ხომ, უწინარესად, საკუთარ თავს იცავს.

ესეც ამაოა!

თავის დროზე (თანაც როდის — „იმედი“ რომ პირველად დახურეს!ძ დავით პაიჭაძეს ვერ ვაპატიე, ინგა გრიგოლიას, ეკა ხოფერიას და გიორგი თარგამაძეს საშუალოზე დაბალი დონის ჟურნალისტები რომ უწოდა და „რეზონანსში“ დაუყოვნებლივ ვუპასუხე.

პაიჭაძეს დღესაც არ ვეთანხმები, მაგრამ ძალიან დამაფიქრა ერთმა გზავნილმა, უცნობთან გრიგოლიას და ხოფერიას სტუმრობის დროს ეკრანზე რომ გაირბინა: „ვიდრე ესენი მაგარი ჟურნალისტები გვგონია, მანამდე არაფერი გვეშველება“.

აი, აქ კი ძნელი სათქმელია, ეს სიმართლეა თუ ნახევარსიმართლე...



**იოსებ ჭუმბურიძე**

**P. S. უფრო ძნელი ასახსნელი კი ის იყო, მეორე დღეს ამ ყველაფერს უცნობიც რომ ნანობდა და ინგა გრიგოლიას ჭკუას უქებდა. ეტყობა, მართლა მაგარია გრიგოლია!**

**ი. ჭ.**

ინფორმაცია

## შამბა ევროკავშირს მიკერძოებაში ადანაშაულებს

**ევროკავშირის მიერ ბელორუსის მიმართ გაკეთებული განცხადებების გამო სოხუმი აფხაზურ-ქართულ მოლაპარაკებებში ევროკავშირის მონაწილეობის პირობების გადახედვას აპირებს.**

**როგორც სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება, ამის შესახებ სოხუმის მარიონეტული რეჟიმის. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა.**

**— აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მზად არის, საქართველოსა და აფხაზეთს შორის მშვიდობიანი დიალოგის, ასევე, ჟენევის შეხვედრებზე შეთანხმებული ინციდენტების თავიდან აცილებისა და რეაგირების მექანიზმში ევროკავშირის მონაწილეობის პირობებს გადახედოს, — განაცხადა შამბამ.**

**მისივე თქმით, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ჟენევის კონსულტაციების პროცესს საფრთხის ქვეშ აყენებს. შამბას შეფასებით, ჩეხი მინისტრის პოზიცია მედვედევი-სარკოზის შეთანხმებას ეწინააღმდეგება.**

**— ეს პოზიცია გვაძლევს უფლებას, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში ევროკავშირის როლი მიკერძოებულად და არამიზანშეწონილად მივიჩნიოთ, — განაცხადა შამბამ.**

**ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის — ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ შვარცენბერგმა განაცხადა, რომ თუ მინსკი აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ბელორუსის მონაწილეობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.**

**ინტერპრესნიუსი**

ხედვა

# და არა ტახტისთვის

რაც შეეხება „ეროვნული ფორუმს“: ისინი ამ ეტაპზე არც ერთ ოპოზიციურ ძალასთან გაერთიანებას არ აპირებენ და ერთიანი გეგმის შემუშავებას ითხოვენ. ამდენად, გაურკვეველია, რა დამოკიდებულება აქვთ „10-დღიანი“ ვადისა და „9 აპრილის“ აქციისადმი.

„ამ ეტაპზე არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში შესვლას არ ვაპირებთ. ერთიანი გეგმის შემუშავების მიზნით, კონსულტაციები ყველა ოპოზიციური ძალის წარმომადგენელთან მიმდინარეობს. მიგვაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ერთიანი გეგმა და ყველა პარტიამ საკუთარი მოთხოვნები ცალ-ცალკე არ უნდა გამოაქვეყნოს“, — განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში მელაშვილმა. თუმცა ფორუმის მიერ სხვადასხვა რაიონში ხელისუფლებისაგან „რევკომებად“ შერაცხილი „უჯრედებიც“ მმართველ პარტიას არაფერს სასარგებლოს არ უქადის.

ცოტათი გაურკვეველია „ლეიბორისტების“ მოქმედების სქემა. თუმცა, რადგან ცნობილია მათი დამოკიდებულება საააკაშვილის მიმართ, გამორიცხულია, რომ მოვლენების ეპიცენტრიდან შორს აღმოჩნდნენ.

მოვლენების განვითარების კვალობაზე არც ისაა გამორიცხული, რომ პროცესებში ჩაერთონ ქრისტიან-დემოკრატებიც, ვინაიდან მათი პრინციპები გარკვეულწილად ემთხვევა ირაკლი ალასანიას ხედვას. სხვა რომ არაფერი, ამ შემთხვევაში საქმე „ალლოზეც“იქნება დამოკიდებული.

ამჟამინდელი პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას სხვადასხვა ფლანგიდან შეუტევს, მიზნად მისი კაპიტულაცია აქვთ დასახული. შეიძლება ეს „გეგმა“ ერთი შეხედვით ქაოსის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ფაქტია, რომ მასში აშკარად იგრძნობა თანამიმდევრობითობის ელემენტები, რაც ოპოზიციური სპექტრის გააზრებულ მოქმედებაზე მიუთითებს.

იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს, აშკარაა, მას უახლოეს პერიოდში საკმაოდ რთულ ვითარებასთან მოუწევს დაპირისპირება.

აშკარაა ისიც, რომ მიმდინარე ეტაპზე ხელისუფლების წარმომადგენლები სრულიად არაადეკვატურად რეაგირებენ პროცესებზე, რასაც მათი კომენტარებიც ადასტურებს.



გასაკვირი არაა, რომ ხელისუფლებას მუდამ იმის მოსმენა და პროცესების იმ მიმართულებით განვითარება სურს, სადაც თავს კარგად გრძნობს. თორემ სად გაგონილა ადამიანი ხელისუფლების შეცვლას ითხოვდეს და ხელისუფლების წამომადგენელი შემხვედრ წინადადებად „იაფ კრედიტებზე“ კონსტრუქციულ საუბარს სთავაზობდეს, ისე, როგორც ეს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს გამორჩეულმა კანონმდებელმა პავლე კუბლაშვილმა ქნა.

„ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ ოპოზიციურ ძალასთან თანამშრომლობისათვის ისეთ მწვავე სოციალურ საკითხებზე, როგორიცაა: უმუშევრობისა და დასაქმების საკითხები, საკითხები დაკავშირებული იაფ კრედიტთან. ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ ეს საკითხები მათთან ერთად. ჩვენთვის მთავარია, იყვნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც შეძლებენ კონსტრუქციულ დიალოგს ყველა იმ მხარესთან, ვინც ქვეყნის კეთილდღეობითაა დაინტერესებული“, — დასძინა კუბლაშვილმა.

კუბლაშვილის განცხადებამდე უცნობი იყო, რომ ქვეყნის კეთილდღეობა არ ითვალისწინებს ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციას, რომელიც თურმე ახლა ევროკავშირის წევრობიდან იწყება და მხოლოდ მერეა ნატოს საკითხი მოსაგვარებელი. თურმე კეთილდღეობისათვის აუცილებელი არ არის მუდმივი საფრთხის განეიტრალება და ვისაც ნაცმოძრაობამ პოლიტიკოსი დაარქვა, ყველას აქვს უფლება, ადამიანები მუდმივი სტრესის ქვეშ ამყოფოს — „არა დღეს დაგვიწყებს რუსეთი ომს და არა ხვალო“. კეთილდღეობის თემა არ ყოფილა საარჩევნო კოდექსი, რომელიც დაჩაჩანაკებულ მოქალაქეებს უფლებას აძლევს 20 ლარად გაყიდონ ხმა, ღირსება და მომავალი. არც ის ყოფილა კეთილდღეობასთან კავშირში, რომ საქართველოში თუთიის კუბოები კვლავ არ ჩამოასვენონ ავღანეთიდან. რასაკვირველია, არც ის, რომ ხელისუფლებამ მოჩვენებითი კეთილდღეობაც ვერ შეუნარჩუნა თანამოქალაქეებს და პირველივე საფრთხისას ელდადაცემული მთავარსარდალი ასფალტს გაეკრა, ხოლო ქვეყნის მეორე პირმა დანა-ჩანგლით მოგვთხოვა დედაქალაქის დაცვა. არა, კეთილდღეობა უმუშევრობა, დასაქმების საკითხები და იაფი კრედიტია. იქნებ მართლა ასე ჰგონია ბატონ პალიკოს. რატომ? თავად რომ არ დარჩეს უმუშევარი, იყოს დასაქმებული და იაფი კრედიტითაც ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა რომ ისარგებლონ?

„ერთ-ერთი ლიდერი“, ქვეყანაში არსებულ სხვა პრობლემებს რომ არ იცნობს, ან იცნობს, მაგრამ მის განხილვას ოპონენტებთან არ აპირებს, ესეც საკმარისია დასკვნების გასაკეთებლად.

ამ აშკარა არაადეკვატურობის გათვალისწინებით, ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელისუფლება შეეცდება ძალას ძალა დაუპირისპიროს და მასას — მასა.

საუბარია იმაზე, რომ თუ მოვლენებმა უკიდურესი ხასიათი მიიღო, ხელისუფლება შეეცდება პროცესებში „მედიატორად“ ჩაერთოს და კონსტიტუციური წესრიგი აღადგინოს, მას შემდეგ, რაც მასას მასას დაუპირისპირებს. ესაა ის უკიდურესი სცენარი, რომელიც „მამების“ ტვინში დუღს. მიიყვანს თუ არა პროცესებს ამ ვითარებამდე, ეს ოპოზიციის მარიფათზე იქნება დამოკიდებული, რადგან ცხადია, რომ ხელისუფლება ტახტის შესანარჩუნებლად უარს არაფერზე იტყვის. არადა, ახლა ბრძოლა ქვეყნისთვისაა და არა ტახტისთვის.

**გოჩა მირცხულავა,**
**„ჯი-ეიჩ-ენი“.**

მკვახე შეძახილი

# ალუდამ, ჯონდისგან განსხვავებით, იცის, რა არის სინდისი...






**თავად ის ფაქტი, რომ ვინმე არ ეთანხმება ვაჟა-ფშაველას, არაფრის მთქმელია. არც ის არის ყურადღების ღირსი, თუ ვინმე ვაჟას შემოქმედებას, საერთოდ არ იცნობს. მრავლისმთქმელია საკუთარი უვიცობით კეკლუცობა და საზოგადოების სიბნელეში ჩათრევის მცდელობა. ხოლო თუ ამას ხალხის რჩეული, საქართველოს პარლამენტის წევრი ცდილობს — უბედურებაა.**

ვინმე განათლებულმა პარლამენტარმა ჟურნალისტური ეთიკის დაუცველობა რომ არ დამაბრალოს, მოვიყვან ორ ამონარიდს ჯონდი ბაღათურიას ერთ-ერთი ინტერვიუდან:

**„არ ვეთანხმები ალუდა ქეთელაურს. თავიდან ალუდა სწორად მოიქცა. მტერს ყოველთვის ღირსეულად უნდა მოექცე. ხელის მოჭრა კი რა ვაჟკაცის საქმეა. ეს არასწორი ტრადიცია იყო, რადგან ბევრი ისეთი ტრადიცია მკვიდრდება, რომელიც არ დგას სარწმუნოებაზე და ფესვებიდან არ მოდის. სწორად მოიქცა, რომ ხელი არ მოაჭრა; სწორია, რომ მტერს პატივი უნდა სცე, მე ამის მომხრე ვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მართლაც ნამდვილი ტრადიციისა და ნამდვილი სჯულის წინააღმდეგ უნდა წახვიდე, იარო სასაფლაოზე და სარწმუნოების უარყოფა დაიწყო — ამაში არ ვეთანხმები“.**

**„ვაჟას არ ვეთანხმები „ალუდა ქეთელაურში“, მგონია, რომ, როდესაც წერდა, მაშინ ვაჟა ალუდას საქციელს იწონებდა, იმიტომ, რომ ამ ნაწილში არ ჰყავს გაკრიტიკებული, შესაძლოა, მერე გადახედა თავის პოზიციას. ყველაზე დიდი პრინციპი სარწმუნოებაა და პრინციპი, რომელიც გაიძულებს, მის წინააღმდეგ იარო, არის მაცდური და მასზე უარი უნდა თქვა“ (ჟურნალი „თბილისელები“, №6, ნინო ხაჩიძე, „რაში სდებს ბრალს ჯონდი ბაღათურია გაერთიანებულ ოპოზიციას და ვაჟა-ფშაველას).**

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, უმორჩილესად ვთხოვ ჯონდის მასწავლებელს, ამის წამკითხველი გულში ტყვიას ნუ დაიხლის — მისი ნამოწაფარი მაინც ვერაფერს შეიგნებს.

რასაც ახლა ვიტყვი, ბატონი ჯონდი იმას ვერ მიხვდება, მაგრამ მის საყურადღებოდ არც რამეს ვამბობ. იმ ადამიანების საყურადღებოდ ვამბობ, ვინც „ჯონდებს“ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სამოღვაწეოდ ხმას აძლევს და საკუთარი ბედის გადაწყვეტის უფლებამოსილებას ანიჭებს (სხვათა შორის, იმ ადამიანების ბედისაც, რომლებიც ჯონდებს არ ენდნენ, მაგრამ ბედის ირონიის გამო, უმცირესობაში აღმოჩნდნენ).

ალუდა ქეთელაურის პირით თვითონ ვაჟა-ფშაველა ლაპარაკობს. ეს ვაჟა ქადაგებს მიტევებას, კაცთმოყვარეობას და სათნოებას. ეს ვაჟა გვასწავლის ბიბლიურ ჭეშმარიტებებს, რომ ყველა ადამიანი ღვთის შვილია და სხვა ადამიანს მისი სიცოცხლის მოსპობის უფლება არა აქვს; რომ ბოროტება ბოროტებით არ აღმოიფხვრება, სისხლი სისხლით არ მოიბანება:

**„ვისაც მტერობა მასწყურდის,
გაალოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში
თვითონაც შიგავ მდგარია,
ღვინოდაც იმას დაჰლევდის,
პურადაც მოსახმარია...
შენ რომ სხვა მაჰკლა,
შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.“**

ალუდასა და ველური ტრადიციების მიმდევარი თემის დაპირისპირება ნათელისა და ბნელის, ცოდნისა და უვიცობის, ზნეობისა და უზნეობის, კეთილისა და ბოროტის, ჭეშმარიტი რწმენისა და ფუნდამენტალისტური დოგმებით შენილბული ურწმუნოების დაპირისპირებაა. ისეთი ურწმუნოებისა, ჩვენ, საბრალო ამომრჩევლები წელიწადში ორმოცდაათჯერ მაინც რომ საკუთარი თვალით ვუყურებთ: გულში სანთელ ჩახუტებულ, მამა აბრამის ბატკნებად ქცეულ ვიგინდარებს, ეკლესიიდან გასვლისთანავე მკვლელობებისა და დარბევების ბრძანებებს რომ გასცემენ, ხაზინას რომ ძარცვავენ, ორპირობენ, ცრუობენ და ფარისევლობენ...

ამის წინააღმდეგია ვაჟა და ამიტომ ათქმევინებს ალუდასთვის სიზმარში გამოცხადებულ მუცალს:

**„— მინდა სიკვდილი,
არ ვკვდები,
მამკალო, — მითხრა ხვეწნითა, —
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
მე კი წავიდე ქვეყნითა;
დაძებით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების
ქნევითა“.**

ვაჟა იმიტომ არის დიდი, რომ ას ოცზე მეტი წლის წინათ ნათქვამი („ალუდა ქეთელაური“ 1888 წელს დაიწერა), დღესაც ზუსტად მიესადაგება იმ ბნელ და უზნეო თემს, რომელსაც ოდესღაც ალუდა ქეთელაური დაუპირისპირდა და რომლის რიგით 121-ე წარმომადგენელი ბრძანდება ბატონი ჯონდი დღევანდელ პარლამენტში.

ვაჟას რომ დღევანდელი საქართველო ენახა, ისევ ამას ამოიგმინებდა: — აჰა, თქვენ გქონდეთ ეს ცოდვა-ბრალიანი წუთისოფელი, ანთხიეთ მოძმეთა სისხლი, გესლი და ბალღამი, აიშენეთ სრა-სასახლეები, ამოიყორეთ მუცლები, იმრუშეთ, იპარეთ, იცრუეთ და ცილი დასწამეთ, დაძეხით უსამართლობით. მე კი ერთადერთ ნუგეშად სიკვდილი დამრჩენია და დამდეთ პატივი, იმქვეყნიურ ცხოვრებაში გადასასახლებლად ხელს ნუ შემიშლითო.

ალუდა ქეთელაურმა (ვაჟამ), თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, იცის, რა არის სინდისი — პასუხისმგებლობა საკუთარი საქციელის გამო. ღირსეული მეტოქის, მამაცი მუცალის სიკვდილით მის არსებაში იქამდე მთვლემარე სინდისმა გაიღვიძა და ალუდას ცოდვების გამოსყიდვა დაავალა. ახალი ცოდვების ჩადენისკენ კი არ მოუწოდა, საუკუნეობით დაგროვილი ცოდვების გამოსყიდვა დაავალა! მხოლოდ საკუთარი ცოდვებისა კი არა, ხევსურთა მთელი თემის ცოდვებისა. სწორედ ასე მოიქცა ცხრამეტი საუკუნით ადრე იესო, რომელიც ჯვარს ეცვა და ამით კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვა სცადა.

„ალუდა ქეთელაური“ კი არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს, როგორც ეს დეპუტატს ჰგონია, პირიქით — ამ მორალის დაცვისკენ მოგვიწოდებს. ეს იცის ყველამ, ვისაც პოემა წაუკითხავს, ვისაც „სტუმარ-მასპინძელი“, „გველისმჭამელი“ ან ვაჟას რომელიმე სხვა ნაწარმოები წაუკითხავს. ჯონდიმ ვაჟას შემოქმედების თაობაზე ყურმოკვრითაც არ იცის, თორემ დღეს ამ ყოვლად სახელგატეხილ პარლამენტში არ დაჯდებოდა, რადგან „ალუდა ქეთელაურში“ ნათქვამმა ამ სიტყვებმა, შეუძლებელია, თვით ჯონდის გონებრივი მონაცემების მქონე ადამიანიც კი არ ჩააფიქროს:

**„ძაღლს მიუგდიან საჭმელად
ხელი მუცალის მკლავისა,
პირი არ ახლო ქოფაკმა,
მორთო ღმუილი ბრალისად“.**

ძაღლის საქციელის ახსნა არ არის რთული. მერე რა, რომ ქოფაკია — იგი ზნეობრივი არსებაა. საკუთარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ან ველური ინსტიქტების დასაკმაყოფილებლად ყველა მეთოდი მისი ძაღლური ბუნებისთვისაც კი მიუღებელია. ამიტომ ამბობს უარს შეთავაზებულ — ვაჟკაცის ვერაგულად მოკვეთილ მარჯვენაზე. მუცალზე, ალბათ, ისიც ალუდასავით ფიქრობს:

**„შენ ხელ შენს გულზედ
დამიწდეს,
ნუმც ხარობს ქავის კარიო,
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს
გვარიო“.**

ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იმ ქოფაკისგან განსხვავებით, 21-ე საუკუნის ქართველ ჯონდებს ზნეობა არც გახსენებიათ, ისე დაეძგერნენ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მიგდებულ პარლამენტის წევრობის მანდატს!

და ამით უარი თქვეს ზნეობაზე, ზოგადად — ადამიანობაზე.

ზნეობაზე იმათაც უყოყმანოდ თქვეს უარი, რომლებმაც საჯაროდ კი არ გადასანსლეს მიგდებული, არამედ შინ წააცუნცულეს და მალულად, ნება-ნება შეექცევიან — თან, თანამოქალაქეებს საკუთარ ვაჟკაცობაზე გვეტრაბახებიან და ლეშის გადმომგდებს თვალთმაქცურად დედას აგინებენ.

**ახლა საჭიროა ამ ნაბიჯის ნებისმიერი საშუალებით გამართლება. 2008 წლის ფორმაციის პარლამენტში მოკალათებული კოლექტიური ჯონდი თვითონ არის ის ბნელი, ვერაგი და დაუნდობელი თემი, რომელმაც ალუდა და მისი ოჯახი მოიკვეთა. თემს უნდა ახლა მთელი ქვეყნიერება დააბნელოს, მთელი საზოგადოება ჯონდებად აქციოს, ადამიანს წაართვას ის, რაც ღმერთმა მის არსებაში ჩადო და ამით სხვა ცოცხალი არსებებისგან გამოარჩია — ზნეობა!**

**მაშინ ყველა გავსწორდებით, ყველა ერთნაირად დავბნელდებით, სინდისზე ყველა უარს ვიტყვით, სამაგალითო აღარავინ გვეყოლება, ზადზე და ბიწზე ვერავინ ვერავის ვერ მიუთითებს, ყველა ერთ დიდ ქვაბში მოვიხარშებით.**

ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე, ბევრ სხვასთან ერთად, დაუძლეველ წინაღობად ვაჟას ძლევამოსილი ფიგურაც აღმართულა.

პრეზიდენტი კი არ ამბობს, ვინმე სხვა „მძიმეწონიანი“ იდეოლოგი კი არ ამბობს, სწორედ ერთ-ერთი ფუტურო ჯონდი ამბობს, ვაჟა-ფშაველას არ ვეთანხმებიო და ამით სურს მოგვაჩვენოს, თითქოს მთელი ქართული საზოგადოება საბოლოოდ გადაგვარებულა, თვით დიდი ვაჟაც დაცემულა და ვიღაც ყარტაყურტას სათრევლად ქცეულა. ხვალ შოთას, ილიას, გურამიშვილის, აკაკის, ჯავახიშვილის, ასათიანის, გალაკტიონის... რიგი დადგება.

თანამედროვეები ხომ უკვე „ჩარეცხილები არიან!..“

ასე მხოლოდ დასაღუპავად განწირულ ავადმყოფ გონებას ეჩვენება. ქვეყნიერების გაჩენის დღიდან აქამომდე, კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში მუდამ კეთილი იმარჯვებდა.

ასე იქნება მომავალშიც.

**თეიმურაზ ძორიძე**

ინფორმაცია

## მალაშხია კვლავ რუსეთს ემუქრება

**ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელის შოთა მალაშხიას შეფასებით, რუსეთის იმპერიალიზმის დრო უკვე დამთავრდა.**

**ამის შესახებ მალაშხიამ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომელიც საქართველოს გასაბჭოების დღესთან დაკავშირებული განცხადებებით გაიხსნა.**

**დეპუტატის თქმით, რუსეთმა ნახა, რომ ომი საქართველოსთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ნამდვილად წააგო, თუმცა ომი საქართველოსთვის გრძელდება და საბოლოო წერტილამდეც მივიყვანთ.**

**დეპუტატმა აღნიშნა, რომ რუსეთის აზრით, მისთვის ერთადერთი გამოსავალი ხელახლა გადატრიალებასა და არეულობაზე ფიქრია, რადგან მოიყვანოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობას აღიარებს.**

ინტერპრესნიუსი

## „დაშნაკციუტუნებს“ თბილისის შიში აქვთ

**ბრიუსელში ევროპარლამენტის სოციალისტური პარტიის ფრაქციასთან შეხვედრაზე სომხურმა რევოლუციურმა ფედერაცია „დაშნაკციუტუნმა“ ევროპარლამენტის დეპუტატთა ყურადღება ე. წ. „ჯავახკში“ ანუ ჯავახეთში არსებულ მდგომარეობაზე გაამახვილა.**

**სომხეთის დელეგაციამ პარლამენტარებს „ჯავახკში“ მცხოვრები სომეხი მოსახლეობის მდგომარეობა გააცნო. კერძოდ, აუწყეს მათ ადამიანის უფლებების იმ დარღვევებისა და უსაფუძვლო ბრალდებების შესახებ, რომლებსაც მათ წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს. ახალციხესა და ახალქალაქში თბილისი შიშის ატმოსფეროს თესავს, — განაცხადა ერევანში მოწყობილ პრესკონფერენციაზე „აიდ ატ“-ის ოფისის ხელმძღვანელმა კირო მანოიანმა.**

**ამასთან ერთად, მანოიანი აღნიშნავს, რომ სომხეთს არ შეუძლია საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაერიოს და თავისი თანამემამულეები დაიცვას, იმის გამო, რომ ეს ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა იქნება.**

**რა თქმა უნდა, საქართველოსაც აქვს თავისი ვალდებულებები ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხში. მაგრამ ვიმეორებ, არის საზღვრები, რომლებსაც სომხეთი ვერ გადავა. მეორე მხრივ, საქართველო მიდის ყველაფერზე იმისთვის, რომ „სომხური პრობლემა“ გადაჭრას და აიძულებს ჯავახკის მოსახლეობას, აიყარონ. სწორედ ამის დაშვება არ შეიძლება, — აცხადებს მანოიანი.**

**მისი განცხადების მიხედვით, თბილისმა დღემდე „ვერ შეძლო“ და „ვერ გაარემონტა“ ბავრა-ახალქალაქი-ახალციხე-ბათუმის გზა, თუმცა ამ გზის რეკონსტრუქციისთვის მრავალი სახსარია გამოყოფილი.**

**ჯავახკის მოსახლეობას არ სურს რაღაც ზებუნებრივი, მას უბრალოდ, სამშობლოში ცხოვრება სურს. სწორედ ეს არის პოლიტიკური საკითხი, — აცხადებს მანოიანი და დასძენს, რომ თავის დროზე აწ განსვენებულ სომხეთის პრემიერს ანდრანიკ მარგარიანს ჯავახკში სომხეთის საკონსულოს გახსნა სურდა, თუმცა საქართველომ ამაზე უარი განაცხადა.**

ხი-ეიბ-ენი

◎ გამოხმაურება

# გეგმა საქართველოს დაქუცმაცებისა

**2008 წლის ნოემბრში მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაბეჭდა ბაშკირეთის უნივერსიტეტის დოცენტის, ვინმე რუსტემ ვახიტოვის წერილი — „ხალხის გაყოფა“. იგი გადმობეჭდა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ და დაურთო აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძისა და პროფესორ გიორგი ოთხმეზურის ვრცელი და ამომწურავი კრიტიკული გამოხმაურება „შეუგნებელი არაკომპეტენტურობა თუ შეგნებული სიყალბე“... („სრ“, 2009 წ. 27-30 იანვარი), რითაც ერთობ დიდი და საჭირო საქმე გააკეთა.**

საბჭოთა სისტემაში აღზრდილი ადამიანებისათვის ნათელია, რომ რ. ვახიტოვის წერილი სინამდვილეში ესაა **KGB**-ს (იგივე „ფსბ“-ძ წიაღში შემუშავებული ოცნებანი და ასევე მითითებანი საქართველოს რეგიონების მოსახლეობისადმი „სახელმწიფოს დასაშლელად.“

მოსკოვის იდეოლოგები საქართველოს დაშლის უპირველეს წინაპირობად ქართველი ერის მთლიანობის დარღვევას მიიჩნევენ. როგორც XIX საუკუნეში, ახლაც ნერგავენ თვალსაზრისს, რომ სვანები და მეგრელები არიან, როგორც ისინი წერენ „ნაცემენშესტვა“, ანუ ეროვნული უმცირესობანი. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტი „აყოვნებს რატიფიკაციას ევროპის კონვენციისა ნაცუმცირესობათა და მათი ენების შესახებ“.

მაშასადამე, რა ახალ ხაფანგს აგებს კრემლი ქართველი ერის დასაშლელად? ის ურჩევს საქართველოს პარლამენტს მოახდინოს რატიფიცირება აღნიშნული კონვენციისა, ოღონდ იმ პირობით რომ ე.წ. „ნაცუმცირესობად“ ჩათვალოს სვანები და მეგრელები.

რუსეთის იმპერიის ეს მცდელობა, როგორც ცნობილია, ახალი არ არის. თითქმის ორასი წლის მანძილზე ქართული ინტელიგენციის წინააღმდეგობის გამო მან ეს იდეა ვერ განახორციელა. ახლა კი მას უკვე „ევროპული კონვენციის“ სახით აჩეჩებს საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის. რატიფიკაციის საკითხს მრავალი გამოკვლევა უძღვნა ბ-მა ტარიელ ფუტკარაძემ, ამიტომ მას აქ აღარ გავაგრძელებ.

წერილში მოსკოველი იდეოლოგები მოუწოდებენ ერთ-ერთი რეგიონის მოსახლეობას, მათი სახით კი სხვებს, მოითხოვონ ავტონომია. მათ თითქოსდა უკვე წინასწარ იციან თბილისის პასუხი — უარი ქვემო ქართლის რეგიონის აზერბაიჯანული უმრავლესობის მოთხოვნაზე ავტონომიის შექმნის შესახებ.

ამ წერილში ძალზე წუხან — „აჭარის ავტონომიის ფაქტობრივი გაუქმების გამო“, თუმც თავს იმით იმშვიდებენ, რომ ავტორის აზრით საქართველოს გაერთიანების იდეა წარუმატებელი აღმოჩნდა, ის წერს: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩამოშორება მხოლოდ დასაწყისია საქართველოს სახელმწიფოს დაყოფისა, საქართველო ამ კატასტროფისათვის რუსეთს ადანაშაულებს, მაგრამ საქართველო სტაბილური სახელმწიფო რომ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა“. ავტორი დუმს და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ საქართველოში დესტაბილიზაციის სტიმულატორი ყოველთვის პოსტსაბჭოთა რუსეთი იყო.

საინტერესოა, რომ ბაშკირელ დოცენტს ცოდნია ქართველ ენათმეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისი, რომ სვანური ერთ-ერთი დიალექტია ქართული ენისა. ეს თეორია მას ძალზე აშფოთებს და წერს — „შუა საუკუნეებში, რა თქმა უნდა, ქართველი ერი არ არსებობდა. არა თუ ძველად, ამჟამადაც კი განსხვავება, ვთქვათ, ქართველებსა და სვანებს შორის იმდენად დიდია, რომ საჭიროა საგანგებო ლექსიკონი „ქართულ-სვანური ენისა“. ნაციონალისტ გამსახურდიას მმართველობის დროს სვანი „ოპოლჩენცები“ იარაღით ხელში გამოდიოდნენ ქართველი ნაციონალისტების წინააღმდეგ. სხვათა შორის, ეს ხელს არ უშლის თბილისელ ხელმძღვანელებს უწოდონ სვანებს „ქართველთ სუბეთნოსი“, ხოლო სვანურ ენას — „ქართული ენის დიალექტი“.

ამას მოსდევს საშინელი დამცინავი ცილისწამებანი ქართველი ხალხის მიმართ:

„არავითარი ქართული ნაცია და, შესაბამისად, არავითარი ქართველი საერთოდ არ არსებობდა რუსეთთან სამხრეთ კავკასიის შეერთებამდე. ქართველურმა ხალხებმა რუსეთის ქვეშევრდომობა ცალ-ცალკე მიიღეს. ქართველი ნაცია და მისი ნაციონალიზმი ჩამოყალიბდა რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში. მთავარი როლი ამ საქმეში იქონია ცენტრალური საბჭოთა ხელმძღვანელობის უყურადღებობამ. ამის მიზეზი იყო ქართველების ყოფნა საბჭოთა ხელმძღვანელობაში — სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია. ქართველი ეთნონაციონალისტების საბოლოო მიზანია — ქართველი ნაციის კონსოლიდაცია, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიების გაზრდა სამხედრო-პოლიტიკური ოპერაციებით აჯანყებულ რეგიონებში, ხოლო რუსეთის, სომხეთისა და თურქეთის დასუსტების შემთხვევაში ჩამოჭრა მათი ტერიტორიებისა“.

სტატიის ავტორი მაინც იძულებული გახდა, ეღიარებინა სიმართლე, რომ საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფოებრიობა ყალიბდება ევროპული სისტემების შესაბამისად. ავტორი თვითონვე განარჩევს ერთმანეთისგან მსოფლიოში სახელმწიფოთა მშენებლობის ორ გზას — ევროპულსა და პროევროპულს. ავტორს მოჰყავს ინგლისელი კულტურის ფილოსოფოსის არნოლდ ტოინბის თვალსაზრისი სახელმწიფოს მშენებლობის დასავლური ინსტიტუტის შესახებ: „ნაციონალური სახელმწიფოების მშენებლობის ევროპული ინსტიტუტი გულისხმობს, რომ კომპაქტურად დასახლებული ერთი ან მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ეთნოსები ახერხებენ მათ ირგვლივ „შუა საუკუნეთა ეთნოსების“ კონსოლიდაციას და ყალიბდებიან ნაციებად. ასე ჩამოყალიბდნენ ევროპული სახელმწიფოები, ხოლო პლანეტის სხვა რეგიონებში სახელმწიფოთა მშენებლობის ამ ინსტიტუტებმა ვერ იმუშავა.“ სტატიის ავტორი, როგორც აღვნიშნეთ, იძულებულია აღიაროს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა შენდება ევროპული სისტემების შესაბამისად, მას ძლიერ აწუხებს და სურს როგორმე ეს არ მოხდეს. ოცნებობს, რომ აფრიკისა და აზიის ზოგიერთი რეგიონის მსგავსად საქართველოში მარად ღვიოდეს სამოქალაქო ომების კერები, რათა ქართველებმა არ აირჩიონ „დასავლეთის პროექტი“. ასეთია „ლიტერატურნაია გაზეტას“ მეგობრული გეგმები„ საქართველოს დასაქუცმაცებლად და სურვილი, რომ პარლამენტმა ამ პროცესს ხელი შეუწყოს.

მიტროპოლიტი
**ანანია ჯაფარიძე**

◎ გამაფრთხილებელი აქცია

# ვინ ასხვისებს დევნილთა ჩასახლების ობიექტებს?

## პრეზიდენტს მიმართვა გაუგზავნეს



„აიკრძალოს დევნილთა განსახლების ობიექტების უკანონო გასხვისება“, „დაუყოვნებლივ შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა დევნილთა მიერ დაკავებული დროებითი საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემისათვის“, „შეწყდეს მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორი“... — ამ ლოზუნგებით პარლამენტის შენობის წინ გუშინწინ დევნილთა გამაფრთხილებელი აქცია გაიმართა.

დევნილები ჩივიან, რომ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დღითი დღე უარესდება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ საქართველოს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობა, მათი ეკონომიკური და ყოფითი პირობები. წუხილს პარლამენტთან შეკრებილი ასობით დევნილი გამოხატავდა.

თემურ ყურაშვილმა შეკრებილთ ამცნო, რომ ქვეყანაში არ არსებობს იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების პოლიტიკა და სტრატეგია და ამის გამო აღმაშფოთებელი ვითარებაა შექმნილი, დევნილთა ჩასახლების ობიექტებს ინტენსიურად, ფარულად ასხვისებენ. დევნილებს წყნეთში სამი აქცია გაუმართავთ, მაგრამ ხელისუფლებას ამაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

„თავის დროზე პრეზიდენტი დავითანხმეთ, რომ დროებითი საცხოვრებელი ფართები დევნილებს გადასცემოდათ, მაგრამ ეს გეგმა ბურჯანაძემ, უგულავამ და ნოღაიდელმა ჩაშალეს. ლტოლვილთა სამინისტრო ჩუმად ასხვისებს ჩასახლების ობიექტებს, თუ დასჭირდებათ, გარდაცვლილი ადამიანები საიქიოდან განცხადებებსაც კი უგზავნიან თბილისის მერიას და მიწის გამოყოფას ითხოვენ. მაშინ როდესაც ნინო ბურჯანაძეს 3,7 ჰექტარს 1 ლარად აძლევენ, ვფიქრობთ, ეს ხელისუფლება დევნილებს მიზანმიმართულად ასახლებს“.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნუგზარ მგალობლიშვილი: „ხელისუფლებას სურს პოლიტიკური ჰარაკირის გაკეთება. სრული განუკითხაობაა არა მარტო წყნეთში, არამედ მთლიანად საქართველოში. ჩვენ დაგვბლოკეს, როგორც მედიასაშუალებებმა, ისე ხელისუფლებამ. სხვა რაღა უნდა დამართნოდა ჩემს კოლეგას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ჯემალ საჯაიას, რომელიც ოჯახთან ერთად ბარბაროსულად დაარბიეს, საცხოვრებლიდან გამოაგდეს და 13 დღეა შიმშილობს, და ამაზე ხმას არავინ იღებს“, — განაცხადა მგალობლიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტისადმი დევნილთა მიმართვაში აღნიშნულია, რომ კორუმპირებული მოხელეები ეკონომიკის სამინისტროსთან, სასამართლოებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან საეჭვო გარიგების საფუძველზე დევნილთა დროებით საცხოვრებელს უკანონოდ ასხვისებენ. „კანონის სრული უგულებელყოფით გაიყიდა წყნეთის კომპაქტური დასახლების „საქჰიდროენერგომშენის“ ყოფილი აგარაკის ორი სამსართულიანი კორპუსის 81 ბინა მიმდებარე ტერიტორიით. სრულიად საიდუმლოდ, დევნილებთან შეუთანხმებლად, ჩალის ფასად მიეყიდა დევნილებით დასახლებულ ობიექტებთან ერთად (ყოფილი პიონერთა ბანაკიძ 9650 მ[2] მიწის ნაკვეთი შპს „ევროსერვისს“ წყნეთში, გურამიშვილის №5-ში.

ასევე, უკანონოდაა გასხვისებული „ჰიდროპროექტის“ 9 ბინა და ახლა იქ მყოფ დევნილებს ემუქრებიან გამოსახლებით.

წყნეთშივე, 2002 წლიდან დაწებული დღემდე გრძელდება დეპუტატ ჯემალ საჯაიას მრავალშვილიანი ოჯახის დარბევა და დაყაჩაღება“.

— ჩვენ წყნეთში მე-16 წელია ვცხოვრობთ, — გვითხრა **უშანგი ანუაშვილმა,** — ჩვენი შენობები კი ფარულად გაყიდეს. არსებობს კანონი დევნილთა შესახებ, სადაც ჩაწერილია, რომ მათთან შეუთანხმებლად ამის გაკეთება არ შეიძლება. ვინც იყიდის ფართს, იგი ვალდებულია დევნილი საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილოს.

**— ალტერნატიული ფართი თქვენთვის არ შემოუთავაზებიათ?**

— არანაირი. გული რაზე გვწყდება, იცით? წყნეთში 1200 ოჯახამდე ვცხოვრობთ, სულ 4200 კაცი და ჩვენთან ლაპარაკი არავის არ უნდა, ოფიციალურად მოვითხოვეთ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან შეხვედრა. ბოლოს და ბოლოს, გაგვცენ პასუხი, რას გვიპირებენ.

გავიგეთ, რომ კობა სუბელიანი ჩვენთან ვერ ამოდის, რადგან არ იცის, რა გვითხრას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად აფხაზეთის ხელისუფლებასაც მივმართეთ ორიოდე დღის წინათ, პრესკონფერენციის გამართვაც გვინდოდა, მაგრამ თავად ხელისუფლებამ „დაბლოკა“. სამწუხაროა, რომ ხელისუფლება დევნილების გვერდით არ დგას.

**— თუ თქვენი მოთხოვნები არ შესრულდება, როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა?**

— ჩვენ ყველა ინსტანცია გავიარეთ, პრეზიდენტსაც გავუგზავნეთ წერილი, თუ ესეც უპასუხოდ დარჩება, მაშინ საელჩოებს მივმართავთ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ინფორმაცია თემაში

## კოლექტიური ცენტრები საკუთრებაში გადაეცემათ

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ დიპლომატიური კორპუსისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. იმსჯელეს 90-იან წლებში აფხაზეთის ომის შედეგად დევნილი მოსახლეობის რეინტეგრაციისა და მათი განსახლების მიზნით საქართველოს მთავრობის კონკრეტული ნაბიჯების შესახებ. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბრიუსელის კონფერენციაზე დონორების მიერ დაპირებული თანხის ნაწილი სწორედ აფხაზეთიდან დევნილებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას მოხმარდება.**

**— აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის განსახლების პროცესი 2009-2010 წლებში დასრულდება, — განაცხადა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა.**

**მისივე ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით 1600 კოლექტიური ცენტრია, რომელიც აფხაზეთიდან დევნილების 43 პროცენტს აკმაყოფილებს. დევნილებს ეს ფართები საკუთრებაში გადაეცემათ, ხოლო ქირით და ნათესავებთან მცხოვრები დევნილებისთვის კოტეჯები აშენდება და შენობები გარემონტდება.**

**ამასთან, 2008 წლის დეკემბერში დამტკიცდა საქართველოს მთავრობის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს დევნილებისთვის კოლექტიური ცენტრების საკუთრებაში გადაცემას. 2009 წელს დაგეგმილია მათ მფლობელობაში 400 კოლექტიური ცენტრის გადასვლა, რომელიც 50 ათასზე მეტ დევნილს დააკმაყოფილებს. უკვე გამოცხადებულია 23 ტენდერი 41 კოლექტიური ცენტრის რეაბილიტაციისათვის.**

## ინფორმაცია

### კრემლის კრიზისი ვითარების დაძაბვას გამოიწვევს



**ვაშინგტონში** ექსპერტებმა კრემლის შესაძლო გეგმები და კავკასიაში შექმნილი ვითარება განიხილეს.

შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძეც ესწრებოდა, აღინიშნა, რომ კრემლი კრიზისშია, რის გამოც ვითარების დაძაბვა გამორიცხული არ არის.

— კრემლის ხელმძღვანელობა კრიზისშია და ეს საკმაოდ აშკარაა. ტანდემოკრატია და ორი მეფის მეფობა, რაც რუსეთშია, შესაძლოა, ნორმალურ ვითარებაში მდგრადი ყოფილიყო, მაგრამ კრიზისის პირობებში ეს სრულიად შეუძლებელია, — განაცხადა რუსმა ექსპერტმა ანდრეი პიონტკოვსკიმ ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში.

ექსპერტ არიელ კოენის შეფასებით კი, საქართველოს რეგიონებში რუსული სამხედრო ძალის განთავსება სახიფათოა მთელი რეგიონისთვის.

— რუსეთი სამხედრო ძალას ათავსებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. იქ სამხედრო ბაზების მშენებლობა ძალიან სახიფათოა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ — მთელი რეგიონისთვის. კრემლი ღრმა კრიზისშია და არ არის გამორიცხული, ყურადღების სხვა საკითხზე გადასატანად ომი წამოიწყოს, მაგალითად ყირიმში, — მიიჩნევს კოენი.

### გიორგაძეს საქართველოში რუსების ბაზების დაბრუნება სურს

**იგორ გიორგაძე** რუსულ მედიაში ისევ გამოჩნდა და ამჯერად საინფორმაციო სააგენტოებთან ეროვნული უმცირესობების შესახებ გააკეთა კომენტარი.

საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრი, ძებნილი იგორ გიორგაძე მიიჩნევს, რომ რუსეთი ეროვნული უმცირესობების უსაფრთხოების გარანტიაა.



— რუსეთი რომ საქართველოში ეროვნული უმცირესობების უსაფრთხოების გარანტიაა, ამის მაგალითად შეიძლება აზერბაიჯანელები მოვიყვანოთ. დადასტურებით შემიძლია განვაცხადო, რომ აზერბაიჯანელები საქართველოში ბევრად უფრო მშვიდად გრძნობდნენ თავს მაშინ, როცა იქ რუსული ბაზები იყო განთავსებული, ვიდრე მას შემდეგ, რაც ეს ბაზები აღარ არსებობს, — აღნიშნა გიორგაძემ.

მისივე თქმით, იგივე შეიძლება ითქვას სომხებზეც, რომელთა უსაფრთხოებაც საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების არსებობის დროს გარანტირებული იყო.

ჯი-ეიჩ-ენი

## გლობუსი

# უფრო რუსების დასაშინებლად, ვიდრე საქმისთვის...

## უპასუხისმგებლო განცხადებების ტყვეობაში

**ვიდრე აშშ პრეზიდენტის მიერ გამოყოფილი 800 მილიარდი დოლარის განაწილების ვნებათა ღელვას ჰყავს ატანილი, „სტრატეგიული პარტნიორი“ საქართველო, ახალ-ახალ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აცხობს და ხელისუფლებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის ემზადება. ამერიკას ნაკლებად სცხელა საქართველოსთვის. მას თავისი პრობლემები აქვს — გაუსაძლისი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრად დარჩენილი ასეულ-ათასობით ადამიანი, დახურული მცირე თუ დიდი საწარმოები და სხვა.**

პრეზიდენტ ობამას ინიციატივამ სახელმწიფო დახმარების თანხის გამოყოფის თაობაზე, ორად გაჰყო აშშ-ს საზოგადოება — კმაყოფილებად და ოპტიმისტებად და უკმაყოფილოებად და პესიმისტებად (67 პროცენტი). უკანასკნელთ არ სჯერათ, რომ სახელმწიფო თანხები დანიშნულებისამებრ განაწილდება და ბობოლების ჯიბეში არ აღმოჩნდება. როგორც ჩანს, დემოკრატიულ და პატიოსან ამერიკაში არცთუ მაღალ დონეზეა პატიოსნება. დასტურად თუნდაც ბოლო დროს რამდენიმე მილიარდერზე საქმის აღძვრაც კმარა. თაღლითობა და სხვისი თანხების მითვისება ედება ბრალად ამერიკული ერთ-ერთი ჟურნალის შარშანდელ გმირს სტანდფორდს. ამერიკა არა მარტო ეკონომიკურ კრიზიშია, არამედ სულიერშიც. ასეთ დროს, ქართველ ოპოზიციონერთა მეცადინეობა, აიძულოს მამა-მარჩენალი, მოწყალების თვალით გადმოხედოს საქართველოს და დაიხსნას სააკაშვილის კლანჭებიდან, უნაყოფო მცდელობის ტოლფასია. **ლაგამმოშვებული ხელისუფალი დროსტარების განწყობაზეა და მიუხედავად ზოგიერთთა მოსაზრებისა — უცხოეთში აღარავინ პატიჟებს და სახლშია გამოკეტილიო, დაოთხილი დაფრინავს უცხოეთში. არაოფიციალურ მოგზაურობას მას ვერავინ აუკრძალავს. ერთადერთი მუხრუჭი საკუთარი თავი უნდა იყოს, მაგრამ დროსტარებას დაჩვეული კაცისთვის ძნელია ფეშენებელურ სასტუმროებში ნებივრობაზე უარის თქმა.** სულ ახლახან კატალონიის რეგიონულ ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას, პრესის მიხედვით იქაურობის მიწვევით, ანუ რეგიონის ხელისუფლების და არა ესპანეთის. ევროპის რეგიონთა ასამბლეა პოპულარული ორგანიზაციაა, რომელიც სისტემატურად მართავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და მასში მონაწილეობისთვის ასამბლეის წევრ სახელმწიფოთა რეგიონებს პატიჟებს. მსგავსი დონის ღონისძიებებში საქართველოს რეგიონებსაც მიუღიათ მონაწილეობა. ქვეყნის პირველი პირის რეგიონულ ღონისძიებაში გამოჩენა სენსაციაა, არა იმიტომ, რომ ქვეყანა რაიმეთი, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მაჩვენებლით, აღემატება რეგიონს. **ამ მხრივ კატალონიის ეკონომიკა, საქართველოს მსგავსი ათი ქვეყნის ეკონომიკას აჭარბებს, მაგრამ ის მაინც რეგიონია. ხელისუფლებას რომ სვლაგეზი დაკარგული აქვს, ამას დიდი გამოცნობა არ სჭირდება, მაგრამ მან ეს არ იცის, უფრო სწორედ იმედი აქვს მოსახლეობას უწინდელივით წარმატებულად „დააბოლებს“.** „დამბოლებლის“ როლს შესანიშნავად ასრულებს მეოთხე ხელისუფლება. მისი დაბეჯითებული განცხადებით, სააკაშვილის კატალონიაში ვიზიტი, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვას ემსახურებოდა. გაბრიყვებულ-დაბეჩავებულ მოსახლეობას კი ჰგონია, რომ მთავარია სააკაშვილის სადმე გამოჩენა და ინვესტიციების მდინარე წამოვა საქართველოში. მსოფლიოს ბევრი დაჭირდება საფინანსო-ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად. ბიზნესი თავის გადარჩენაზე ფიქრობს და არა სხვაგან და თანაც ისეთ არამდგრად ქვეყანაში ინვესტიციების ჩადებაზე, როგორიც საქართველოა.

**ვიდრე სააკაშვილი დაჰქრის უცხოეთში, საკუთარი ორგანიზმის გასალაღებლად, ოპოზიცია ირაზმება. ძველი პარტიები ახალ ლოზუნგებს ისვრიან, ახლები ძველს იმეორებენ. რაც უფრო მცირდება საქართველო, მით უფრო იზრდება პარტიების რაოდენობა. ყველა მათგანს ერთი ლოზუნგი აქვს „საქართველო — სააკაშვილის გარეშე“. ვითარება 2003 წლის რევოლუციურ პერიოდს წააგავს. როგორც იმჟამად, ამჟამადაც უხვად ტოვებენ სააკაშვილის გუნდს და უმალ ოპოზიციაში გადადიან. როგორც მაშინ, დღესაც ადგილი აქვს განდეგილთა სატელევიზიო გამოსამშვიდობებელ განცხადებებს. მაშინდელებს, რევოლუციამდე ერთი დღით ადრე, სატელევიზიო აღსარება და შევარდნაძის ლანძღვა გმირობად მიაჩნდათ. დღესაც იგივე ვითარებაა, თუმცა არის განსხვავებაც — ხალხის დამოკიდებულება ახლადგამოჩეკილ ოპოზიციონერთა მიმართ.** თუ იმ დროს მეამბოხეთა მიმართ იოტისოდენა ნდობა მაინც იყო საზოგადოებაში, დღეს ესეც არ არსებობს. საზოგადოებას აღარც „ოპოზიციის“ სჯერა და აღარც თავის თავის. **ძნელია დაუჯერო ახალ ოპოზიციონერ ნოღაიდელს, რომელმაც სულ ახლახან ნათქვამი დაპირება — 3 თებერვალს ნათელს მოვფენ ჟვანიას მკვლელობასო, ჭოროხს გაატანა.** არც ბურჯანაძეს დაეჯერება რამე. დაქადნების გარდა მისი მხრიდან არაფერი ისმის. „ჯობია არ მომაყოლინონ ვინ რას ლაპარაკობდაო“, — ამბობს ის და მეტს არაფერს.



საზოგადოება იმდენად დაეჩვია თვით ხელისუფალთა სენსაციურ საქციელს, რომ ოპოზიციონერთა ნათქვამი იავნანასავით ჩაესმის. მარტო ვიცე-პრემიერ იაკობაშვილის ფრაზები რად ღირს. რეინტეგრაციის ბოსის ყველა განცხადება სათუთად შესანახია მომავალი თაობების ჭეშმარიტი პოლიტიკური აღზრდის მიზნით. მას ტოლს არ უდებს საგარეო საქმეთა ახალი ვარსკვლავი, ვაშაძე. ორივე მათგანი დიპლომატიისათვის მიუღებელი მოსაზრებებითა და ლექსიკით იღვწიან საგარეო საქმეებში პრიორიტეტული პოზიციების მოსაპოვებლად. ორი უწყება ერთმანეთს ექიშპება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფრონტზე და ცდილობს ისე მოაჩვენოს თავი მამა-მარჩენალს, რომ მასზე უკეთესი არავინაა. გაკეთებული საქმე კი არ სჩანს, პირიქით, რაც სამინისტროს ახალი სახელი „რეინტეგრაცია“ დაერქვა, დეზინტეგრაციის გარდა არაფერია.

**აღნიშნული სამინისტრო წინა ხელისუფლების ნოვატორული „ნიჭის“ პირმშოა. მისი შექმნის აუცილებლობა მარტივი მიზეზით იყო გამოწვეული — დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის ბრძოლის იმიტაციით, რაც დროთა ვითარებამ თავისთავად გამოავლინა. ყოფილს უყვარდა პარალელიზმი, ერთმანეთთან დაპირისპირება. ახალი სამინისტროს შექმნის შემდეგ აფხაზეთის საკითხის მოგვარება აჭარის ლიდერს დაევალა. ყოფილის ეპოქაში პრობლემების გადაჭრის გზა უნაყოფო კომისიებისა და უწყებების ჩამოყალიბებაზე გადიოდა. ასე და ამგვარად თვალსა და ხელს შუა 18 წელი შემოგვეცალა. აფხაზეთიც იქ არის, სადაც იყო და სამხრეთ ოსეთიც — ოღონდ ოდნავ გადმოწეული. სამინისტროც ადგილზეა, ოღონდ სახეშეცვლილი, მინისტრიც ადგილზეა, მაგრამ რა მინისტრი, მისი ახსნა-განმარტება რუსს რომ აგდებს ხიდან! ოღონდ ჯერჯერობით ყვავილით ჩამოგდებულ-გადაგდებული საქართველოა. სამინისტროს, რომლის ფუნქცია შევარდნაძის დროსაც რომ გაურკვეველი იყო, გასული წლის 8 აგვისტოს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, მთლად გაურკვეველი გახდა.** საყოველთაო გაურკვევლობის ჟამს მინისტრმა თავს მიხედა და ძირითად საქმის გარეშე დარჩენილმა საგარეო საკითხებში სპოუკსმენობას მიჰყო ხელი. დღე ისე არ ჩაივლის, მისეულმა ავანტიურისტულმა ახსნა-განმარტებამ არაერთხელ არ დაგვაშამათოს. თემა უცვლელია — მტარვალი რუსეთი.

**ამას წინათ მინისტრი საზოგადოებრივ ტელეარხსაც ეწვია და შესაშური მიხვედრილობით აუხსნა გონებაშეზღუდულ საქართველოს, თუ რაოდენ საშიშია რუსული ტელეარხების ყურება. რუსები თურმე ისე ოსტატურად ნიღბავენ თავიანთ გადაცემებს დემოკრატიის საბურველში, რომ ქართული საზოგადოება ამ ოინებს ვერ მიხვდება და პროპაგანდის მსხვერპლად გადაიქცევა. სწორედ ეს რომ არ მოხდეს და საქართველო გადარჩეს, მინისტრი კატეგორიულად ესალმება და მხარს უჭერს რუსული ტელეარხების გამორთვას. იაკობაშვილს, რბილად რომ ვთქვათ, მწყრალი წარმოდგენა აქვს საქართველოს მოსახლეობის გონებრივ შესაძლებლობაზე, რითაც ის საკუთარი პატრონის საწინააღმდეგო პოზიციას ავლენს. პატივცემულ მიხეილს არაერთხელ შეუქია ქართველთა სიბრძნე და ჭკუა-გონება. პრეზიდენტის მიერ, განსაკუთრებით არჩევნების წინ, ხოტბაშესხმულ საქართველოს არ უნდა გაუჭირდეს რუსულ საინფორმაციო გადაცემებში ცუდის და კარგის გარჩევა. გარდა ამისა, მთლად დემოკრატიულად არ უნდა ჩანდეს ტელეგადაცემების გამორთვა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აბონენტს ფული აქვს გადახდილი. ტელეგადაცემების გამორთვა 21-ე საუკუნეში ისევე მიუღებელია, როგორც საქმის გარეშე დარჩენილი რეინტეგრაციის სამინისტროს არსებობა.**

იაკობაშვილის ხალხზე ზრუნვას საზღვარი არა აქვს, ისე, როგორც დანარჩენი პოლიტიკოსების, რომლებიც მოჭარბებულად ფაფხურობენ საქართველოს ამერიკისთვის „შესატენად“. ქვეყნის ბედნიერ მომავალზემზრუნველნი დაუფარავად აცხადებენ, რომ ისურვებდნენ ამერიკული სამხედრო ბაზების გახსნას საქართველოში. როგორც ჩანს დარჩიაშვილ-სიხარულიძის საჯაროდ ნათქვამი გაგრძელებაა იმ კულუარული მცდელობისა, რომელმაც ასახვა ჰპოვა უცხოურ პრესაში საართველოში აშშ-ს სამხედრო ბაზების შექმნასთან დაკავშირებით. ყირგიზეთში მანასის სამხედრო-საჰაერო ბაზის დახურვის შედეგად კრიტიკულ ვითარებაში მყოფ ამერიკელებს, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფალთა ხელგაშლილობა შეეგება, მაგრამ პენტაგონმა თურქეთი ამჯობინა, ხოლო ჩვენთვის, „საყვარელმა“ ბრაისამ უმალ განაცხადა, რომ ამერიკა არ აპირებს საქართველოში სამხედრო ბაზის შექმნას. ბაზის გახსნას თუ არ აპირებენ, ქართველი ჯარისკაცების წვრთნა პროგრამაში აქვთ. ამერიკელი გენერლის განცხადებით, ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები, ახალი ენერგიით შეუდგებიან ქართველ ჯარისკაცთა წვრთნას. და თუ აქამდე ერაყისთვის წვრთნიდნენ, ახლა სამშობლოს დასაცავად გაწვრთნიან, როგორც ჩანს, ამერიკელები ერთგვარ უხერხულობას გრძნობენ. — მათი მოსწავლეების არაადეკვატური მოქმედების გამო ცხინვალის დღენახევრიან ომში. ისე კი ჩემი არაპროფესიონალური აზრით, თუნდაც ერაყისთვის გაწვრთნილ ჯარისკაცს, დღენახევარზე მეტი ხნით უნდა შეეჩერებინა მტერი.

**ხმამაღალი განცხადებები უფრო რუსეთის დასაშინებლად კეთდება, ვიდრე საქმისათვის. ჯარის წვრთნას ლაქლაქი არ სჭირდება. „დამფრთხალ“ რუსეთს ყოველგვარი საბაბი ეძლევა თავისი და ახალი სატელიტების დასაცავად ბაზები განათავსოს იქ. ჩვენი და ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორის“ მოქმედება არა მარტო აღიზიანებს, არამედ კონკრეტულ ნაბიჯსაც ადგმევინებს რუსეთს. ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის ოცნების განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორია რუსულ-ამერიკული სამხედრო ბაზების ბუდედ გადაიქცევა.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

## საქართველო უცხოეთის პრესის ფურცლებზე

# გაგა შურღაია: ეს არის ომის ერთადერთი ლოგიკა... ერთი მუჭა პრივილეგირებული ადამიანების გადასარჩენად!..



**— ქართველები წლების განმავლობაში ითხოვენ ევროპელებად აღიარებას, ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან კავშირის დამყარებას, ნატოში შესვლას. ამ სურვილების იგნორირებამ საქართველო ომის პოლიგონად აქცია. თქვენი აზრით, რა არის ევროკავშირის მიერ საქართველოს მიმართ დაშვებული ყველაზე დიდი შეცდომა?**

— მე განვასხვავებდი სამ სხვადასხვა გარემოებას: ევროპელებად აღიარებას, ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან კავშირების დამყარებას და ნატოში გაწევრებას.

უნდა გითხრათ, რომ საქართველო მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში თავს მუდამ ევროპის ნაწილად მიიჩნევდა და ეს სრულიად ბუნებრივი იყო, რადგანაც იგი ევროპულ ქვეყანას წარმოადგენდა იმ კულტურული მოდელისა და მსოფლაღქმის მიხედვით, რომელიც საფუძვლად ედო მისი ცხოვრების წესს — აზროვნებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას, მეცნიერებასა და კულტურას, ქართველები ევროპული ოჯახის წევრად თვლიდნენ თავს, ჰუმანისტებისა და პოეტების ევროპისა, მოაზროვნეებისა და ხელოვანების ევროპისა.

იმ გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, რაც ქართველებმა თავიანთი ქვეყნის რუსეთის მიერ დაპყრობას გაუწიეს, ქართველი ინტელიგენცია შეეცადა, ამ მოვლენაში *პოზიტიური მხარეც* დაენახა. აღმოსავლური, „მტრული და ბნელი, მოძალადე და მონოკორდი" იმპერიების წინააღმდეგ ბრძოლაში ფიზიკური გადარჩენისა და დამოუკიდებლობის — პოლიტიკურზე უწინარესად კულტურულისა და რელიგიურის — შესანარჩუნებლად თავის დაცვას ჩვეულმა ქართველმა საზოგადოებამ ისურვა, *რუსეთში მოეაზრებინა ახალი ბიზანტია*, რომელიც მას ევროპულ კულტურასთან დააკავშირებდა. ჯერ 1918 წელს რუსეთის იმპერიიდან, შემდეგ კი 1991 წელს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამ ქვეყანას იმედი ჩაუსახა, რომ ხანგრძლივსა და გამუდმებულ იზოლაციას ბოლოს და ბოლოს წერტილი დაესმებოდა; რომ ამიერიდან შეეძლებოდა, ხელახლა, უშუალოდ და არა სხვათა მეშვეობით, დაემყარებინა კავშირურთიერთობა თავის ევროპელ ძმებთან.

აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ევროპელებად თავის აღქმის ეფექტიანი, ანუ პოლიტიკური „გადაწყვეტის" პირველი ეტაპი იქნებოდა საქართველოს აღიარება ევროპულ ქვეყნად არა მხოლოდ მისი ისტორიიდან და კულტურიდან გამომდინარე, არამედ — მისი პოლიტიკური სტრუქტურების, იურიდიული და სოციალური მოწყობის მიხედვითაც. მეორე ეტაპზე კი ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან ძმედითი კავშირები გაფორმდებოდა.

რადიკალურად განსხვავებულია ნატოში შესვლის საკითხი. ფაქტი ფაქტად რჩება: მიუხედავად იმისა, რომ არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება, არამედ მისი მოსახლეობაც რუსეთს თვლის თავისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების გზაზე უმთავრეს წინააღმდეგობად, 2008 წლის 5 იანვარს გამართულ *რეფერენდუმს სულაც არ გამოუვლენია ერთსულოვანი კონსენსუსი:* ნატოში შესვლის სურვილი მოქალაქეთა 77-მა პროცენტმა გამოთქვა.

ასევე ცნობილია, რომ 2008 წლის აპრილს ბუქარესტში გამართულ ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრამ გააქარწყლა საქართველოს ხელისუფლებისა და ბუში უმცროსის ერთობლივი ძალისხმევა, ამ ორგანიზაციაში მიეღოთ საქართველო; ფუჭი აღმოჩნდა ის გულმოდგინება, რითაც საქართველოს პრეზიდენტმა არ დაიშურა რეფერენდუმის შედეგების გაყალბება. ზოგიერთმა ევროპელმა ქვეყანამ არ ისურვა ნატოში საქართველოს გაწევრება, რადგანაც მას მოგვარებული არა აქვს ტერიტორიული პრობლემები: „აფხაზეთი", de iure მისი შემადგენელი ავტონომიური რესპუბლიკა, de facto დამოუკიდებელი, ანდა, სულ მცირე, რუსეთთან მიერთებულია; ასევეა, „სამხრეთ ოსეთი", de iure მისი შემადგენელი ავტონომიური ოლქი, de facto დამოუკიდებელი, ანდა, სულ მცირე, რუსეთთან მიერთებულია.

თქვენ შეეხეთ ევროპის მიერ საქართველოს სურვილების იგნორირებას. ამაში, ალბათ, გულისხმობთ ნატოში შესვლაზე უარის თქმასაც, რამაც შესაძლებელი გახადა, საქართველო ომის პოლიგონად გადაქცეულიყო. მე კი ვიტყოდი, რომ ეს ომი *წინასწარ დაგეგმილი იყო, მეტიც, იგი სპეციალურად დაიწყო, რათა საქართველო ნატოს სამხედრო ბაზა გამხდარიყო.* სააკაშვილს, ომს რომ იწყებდა, იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში (რომლისაც, ალბათ, თავადაც არ სჯეროდაძ საქართველო აღიდგენდა იურისდიქციას კონფლიქტურ რეგიონებზე და, ამდენად, მოაგვარებდა ტერიტორიულ პრობლემას. მაგრამ იგი ამ პრობლემას მოაგვარებდა დამარცხების შემთხვევაშიც, რადგანაც თუ კონფლიქტურ რეგიონებს დაკარგავდა, მათი იურიდიული სტატუსი მათ de facto სტატუსს გაუთანაბრდებოდა. სამწუხაროდ, მეორე ჰიპოთეზა აცხადდა, თუმცა, ეს რომ ასე მოხდებოდა, ამის განჭვრეტას დიდი გამჭრიახობა არ ჭირდებოდა.



მაინც სად არის ევროკავშირის მიერ საქართველოს მიმართ დაშვებული ყველაზე დიდი შეცდომა? უდავოა, შეცდომაა არა ის, რომ მან არ დაუშვა საქართველოს შესვლა ნატოში; ამას არ დაუშვებდა თავად ნატოს შინაგანაწესიც, რომელიც კრძალავს მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემების მქონე ქვეყნის გაწევრებას. იქნებ, შეცდომა ისაა, რომ მან რუსეთს არ დაუწესა ეკონომიკური სანქციები? ვერც ამას შეძლებდა, რადგანაც ძალიან ბევრ დასავლურ ლობის ძალიან ბევრი ინტერესი აქვს რუსეთში; იმ ლობის, რომლებზედაც მრავალი ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხია დამოკიდებული. ალბათ, ყველაზე სერიოზული შეცდომა ის არის, რომ *ევროკავშირს არ გააჩნია საკუთარი პოლიტიკა კავკასიაში,* მაგრამ ეს პრობლემა არსებითად გამოწვეულია მისი სტრუქტურული უსუსურობით. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯიმი კარტერის მრჩეველი სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკი არცთუ დიდი ხნის წინათ ქედმაღლურად ამბობდა: „(ევროკავშირი?) ერთ მარტივ გეოგრაფიულ ცნებაზე მეტი არაფერია!". ნათელი რომ იყოს, ვისზე ვსაუბრობთ, შეგახსენებთ, რომ ეს ის ბჟეჟინსკია, რომელმაც 1998 წელს გაზეთ „ლე ნუველ ობსერვატორისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ საბჭოელებს 1979 წლის 24 დეკემბერს სწორედ აშშ-მ უბიძგა მიზანმიმართულად, სამხედრო გზით ჩარეულიყვნენ ავღანეთის საქმეებში, რათა მათთვის გადაეხდევინებინათ ვიეტნამში დაღვრილი ამერიკული სისხლი.

მართალია, ეს განცხადება ცოტაოდენ გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ, ეტყობა, მთლად შემცდარი არ უნდა იყოს ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე.

**— იტალიის პოზიცია მერყეობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებასა და რუსეთისათვის ეკონომიკური სანქციების დაუწესებლობას შორის. სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა: „ვითარება ნათელია. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ კავკასიური კრიზისი ცივი ომის ხელახლა გამჩაღებელ პატრუქად გადაიქცეს. თვალს ვერ დავუხუჭავთ რეალპოლიტიკს, ანუ ანგარიში უნდა გავუწიოთ რეალობას იმის გამოც, რომ რუსეთი დღემდე რჩება სამხედრო თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვან ქვეყნად, მას ჯერ კიდევ აქვს ისეთი ატომური პოტენციალი, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის ათჯერ განადგურება ძალუძს".**

**რა იმედი უნდა ჰქონდეთ ყოფილი საბჭოთა ბანაკის ისეთ ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, თუ პოლიტიკა დაეფუძნება ლათინური გამოთქმის ლოგიკას: „Ubi maior minor cessat", ანუ „უფროსის წინაშე უმცროსზე, შეიძლება, თვალი დავხუჭოთ"?**

— უკვე ვთქვით, თუ რატომ ვერ დაუწესებდა მრავალი დასავლური ქვეყანა რუსეთს ეკონომიკურ სანქციებს. იტალია ამ თვალსაზრისით ყველაზე მკაფიო მაგალითია.

ამ დღეებში, ალბათ, ბევრი ადამიანი შეეკითხა საკუთარ თავს: „როგორ მოხდა, რომ სილვიო ბერლუსკონიმ, რომელიც ცხრაპირ ტყავში ძვრება, რათა ბუშის გულთაფიქრი ამოიკითხოს და აუსრულოს, არ დაგმო ბოროტი, მოძალადე და ბარბაროსული რუსეთი?"

ამ კითხვაზე პასუხი ერთადერთია: იმიტომ, რომ არ უნდოდა, ურთიერთობა გაეფუჭებინა ლობისთან, რომელმაც იგი ხელისუფლებაში მოიყვანა და რომლის წყალობითაც დღემდე ინარჩუნებს ხელისუფლებას; ეს ის ლობია, რომელსაც მრავალი, უთვალავი ეკონომიკური ინტერესი აკავშირებს პუტინის რუსეთთან. აქ არაფერ შუაშია ლაქლაქი იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ცივი ომის ხელახლა გაჩაღება, ანდა, ქაქანი რუსეთის ატომურ პოტენციალზე. სამაგიეროდ, სწორედ რომ მიზანში მოარტყა პრემიერმა, როცა რეალპოლიტიკზე, ე.ი. პოლიტიკური თვალსაზრისით რეალობისთვის ანგარიშის გაწევაზე ჩამოაგდო სიტყვა. მაგრამ ამან არ უნდა მოგვატყუოს, რადგან საქმე ეხება მხოლოდ *მისი ინტერესების რეალპოლიტიკს, მისი ლობის რეალპოლიტიკს, ერთი სიტყვით, კაპიტალის იმპერიის რეალპოლიტიკს.*

პირადად მე არა ვარ ძალიან იმედიანად განწყობილი ყოფილი საბჭოთა ბანაკის ისეთი ქვეყნების მომავლის მიმართ, როგორიც, ვთქვათ, ჩემი სამშობლოა. მეჩვენება, რომ ისინი გარშემორტყმული არიან *სვავებით, რომლებიც მხარს უჭერენ, საკენკს უყრიან, სიცოცხლეს უნარჩუნებენ ამ ქვეყნების კორუმპირებულ მმართველ კლასებს, კლასებს,* რომლებიც, ქვეყნის სათავეში რომ იტივტივონ, ხელში ჩალის ფასად უგდებენ კაპიტალს თავიანთი ქვეყნის ბუნებრივსა და ადამიანურ რესურსებს. საქმე ეხება მმართველ კლასებს, რომლებიც, თუ საჭირო გახდა, უკან არ დაიხევენ და თავიანთი პატრონების ინტერესებს მსხვერპლად შესწირავენ თავიანთივე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას მოკლებულ მოსახლეობას. ამას წარბშეუხრელად გააკეთებენ, რადგანაც იციან, რომ *ლაჩრული და უპირობო ერთგულების გარეშე ერთ დღესაც კი ვერ გაძლებენ ხელისუფლების სათავეში.* ხელსაყრელია, მეტიც, ძალიან სასარგებლოა ასეთი მმართველი კლასების მუდამ ყოლა შენს განკარგულებაში.

შეიძლება, ზედმეტად მუქ, მაგრამ, ჩემი აზრით, რეალისტურ პრიზმაში ვხედავ ყოფილი საბჭოთა ბანაკის ქვეყნების მომავალს. შესაძლებელია, *ერთადერთი გამოსავალი ნეიტრალიტეტი იყოს,* მაგრამ ეს ნეიტრალიტეტი თუ შეუვალად არ მოისურვა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის კომპეტენტურმა, გონიერმა და პატიოსანმა მმართველმა კლასმა და, ამას გარდა, თუ მას *გარანტად არ დაუდგნენ სახელმწიფოები, რომლებიც პოლიტიკურ ამინდს ჰქნიან თანამედროვე მსოფლიოში,* უფრო სწორად, არ დაემყარებიან თავად ამ ქვეყნებზე გაცილებით *ძლიერ, გაცილებით უფრო დიდ სპეციფიკურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ წონასწორობას,* ეს ნეიტრალიტეტიც მოჩვენებითი, მარიონეტული, უდღეური აღმოჩნდება.

**— საქართველო ერთადერთი „ალტერნატიული კორიდორია" იმ ნავთობ და გაზსადენებისა, რომლებსაც ევროპისათვის ენერგიის მიწოდება შეუძლია. განა შეიძლება, მსხვერპლად გავიღოთ ერთი სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის ერთიანობა, თუ იგი ენერგიის სტრატეგიულ გზას წარმოადგენს?**

— პირადად მე ვეთანხმები თეოდორ დოსტოევსკის, რომელიც მიიჩნევდა, რომ *ერთი პატარა ბავშვის ცრემლადაც არ ღირს ნებისმიერი რევოლუციის ერთად აღებული ყველა იდეალი,* მაგრამ ლოგიკამ, რომელიც მსოფლიოს მართავს, უთვალავჯერ დაამტკიცა თავისი სიყრუე და სიბრმავე ადამიანების, ერების, მთელი შესაქმის უფლებების მიმართ.

ომი მხოლოდ ერთ მუჭა პრივილეგირებულ ადამიანებს გადაარჩენს. სხვები, მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ქვეყნებს, რომელ ერებს ეკუთვნიან ისინი, შეიძლება, დიდი სინდისის ქენჯნის გარეშე მსხვერპლად გავიღოთ, რადგანაც ჩვენს, რესურსებით სულ უფრო და უფრო ბერწ სამყაროში *ენერგიისათვის თამაშის მოგება მსოფლიოზე ბატონობის მოპოვებას ნიშნავს.* ჯულიეტო ქიეზა ზბიგნევ ბჟეჟინსკის მიერ გაზეთ „ლე ნუველ ობსერვატორისათვის" მიცემულ ინტერვიუს კომენტირებისას, შენიშნავდა: ავღანეთში საბჭოთა ინტერვენციის დაწყების წელს, „გაეროს სტატისტიკით, (...ქვეყანაში) დაახლოებით, 23 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. 23 წლის შემდეგ შეგვიძლია, შევაჯამოთ (ინტერვენციის) შედეგები: სახეზეა დაახლოებით, მილიონი გარდაცვლილი, სულ მცირე ხუთი მილიონი ლტოლვილი, დაახლოებით, ერთი მილიონი ინვალიდი, ათი მილიონი ნაღმით მოფენილი ქვეყანა. ბოროტების იმპერიის დასამხობად ავღანეთი „ცნობიერად" გადააქციეს ხაფანგად. შიგნით 23 მილიონი თაგვი იყო. ცხადია, (თაგვები) ავღანელები იყვნენ, რომლებიც ჩალის ფასად არ ღირან. მაგრამ თუ მიზანი მთელ მსოფლიოზე ბატონობაა, რაღა გინდათ, იყოს სამი ან ოთხი ათასი მკვდარი, თუნდაც ისინი ამერიკელები იყვნენ.

**ეს არის ერთადერთი ლოგიკა ომისა, რომელიც გადაარჩენს, მეტიც, წარმოებს ერთი მუჭა პრივილეგირებული ადამიანებისათვის!**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 33-35.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი დაძაბულობას ამძაფრებს

**თვითმხილველთა სიტყვებით, ქვემო ნიქოზი, რომელიც სამხრეთ ოსეთს ესაზღვრება, გადაკვეთა ტანკმა, რომელსაც გადაჰყავდა დაახლოებით 40 რუსი ქვეითი ჯარისკაცი. ჯარისკაცებმა დაიკავეს ამ პატარა ქართული სოფლის განაპირა მხარე ცარიელ მინდორზე, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებს გაშენებული აქვთ ვაშლისა და კაკლის ბაღები.**

სოფლის მცხოვრებლები ნერვიულად ადევნებდნენ თვალყურს შორიდან, ისინი ამბობენ, რომ რამდენიმე ჯარისკაცი, როგორც ეტყობა, ახდენდა გაზომვებს, დანარჩენები კი ტყუილად იდგნენ. დაახლოებით ორი საათის შემდეგ ჯარისკაცები გაჰყვნენ ტანკს და დაბრუნდნენ თავიანთ მხარეზე საზღვარს იქით.

ჯარისკაცებს და სოფლის მცხოვრებლებს, აგრეთვე პოლიციელებს, რომლებიც აქ არიან, არ გაუცვლიათ ერთმანეთში სროლები, სიტყვითაც კი არ დალაპარაკებიან ერთმანეთს. მაგრამ 11 თებერვლის შემოჭრამ შიში დაასადგურა ამ ერთ ციცქნა სოფელში, რომლის მოსახლეობა 500 კაცს შეადგენს და იქცა დაძაბული სიტუაციის მოგონებად რუსეთთან აგვისტოს ომის პერიოდიდან ნახევარი წლის შემდეგ სოფლის განადგურების დროისა.

„ისინი ცდილობენ, კიდევ უფრო გაამძაფრონ დაძაბულობა, – ამბობს



ნოდარ ლონგურაშვილი, ქვემო ნიქოზელი ფერმერი. ეს სოფელი ოკუპირებული იყო რუსი ჯარისკაცების მიერ თითქმის ორი თვის განმავლობაში ომის შემდეგ. – მათ არ უნდათ, რომ ჩვენმა სოფელმა ისუნთქოს თავისუფლად, ნორმალურად. მათ უნდათ, რომ სულ შიშის ქვეშ ვყავდეთ“.

ამ შეფასებას იზიარებენ საქართველოს ლიდერები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რუსეთს ხელს აძლევს საზღვრისპირა ინციდენტები, ცდილობენ, რომ გამოიწვიონ ახალი კონფლიქტის პროვოცირება და შექმნან ქვეყანაში არასტაბილური ატმოსფერო, რათა შეასუსტონ მისი პროდასავლური მთავრობა და დააშინონ ინვესტორებიც.

„ეს უდიდესი გამოწვევაა, – განაცხადა ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. – რასაკვირველია, საინვესტიციო ნაკადი შეჩერდება, და ჩვენს ქვეყანას კი მხოლოდ ის ინახავს“.

მისი სიტყვებით, საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არ ჩაერთოს ახალ კონფრონტაციაში, მაგრამ ქვეყნის პასუხის ვარიანტები რუსეთის ნაბიჯებზე შეზღუდულია. „სწორედ ამიტომ ჩვენ ნამდვილად გვინდა აქტიური საერთაშორისო მონაწილეობა“, – განაცხადა მან.

ოთხშაბათს რუსეთისა და საქართველოს დელეგაციის წევრები ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებზე შეთანხმდნენ „ცხელი ხაზის“ შექმნისა და რეგულარული კონტაქტების მოწესრიგების შესახებ პოლიციელებს შორის ინციდენტების ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით ადგილებზე. მაგრამ ორივე მხარე ფრთხილად საუბრობს შეთანხმების პოტენციური ეფექტიანობის შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მონაცემებით, უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სასაზღვრო რაიონებში, რომლებსაც იცავენ რუსი ჯარები, სნაიპერის ცეცხლით დაიღუპა 11 ქართველი პოლიციელი, დაიჭრა 22. მისი სიტყვებით, ერთი ოფიცერი დახვრიტეს ევროპელ მეთვალყურეებთან შეხვედრიდან რამდენიმე წუთის შემდეგ.

მეორე ინციდენტის დროს თებერვალში შეიარაღებული მამაკაცების ჯგუფმა გადაკვეთა საქართველოს საზღვარი და გააჩერა მანქანა, რომელიც გზატკეცილზე მიდიოდა სამხრეთ ოსეთის საზღვრის მახლობლად, დააკავეს ავტომობილი და გაიტაცეს ერთი მგზავრი, ცნობილი ფეხბურთის მსაჯი. 7 თებერვლის ინციდენტმა, რომელსაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში წინ უსწრედა ადამიანთა სულ ცოტა ათი გატაცება საქართველოს სასაზღვრო რაიონებში, გამოიწვია განსაკუთრებული განგაში, ვინაიდან ეს გზატკეცილი მთავარი არტერიაა, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ქვეყნის აღმოსავლეთსა და დასავლეთს. ოფიციალური პირების სიტყვებით, თუ გზატკეცილზე წარმოიქმნება პრობლემები უშიშროებასთან დაკავშირებით, ამან შეიძლება ჩაახშოს ვაჭრობა და ინვესტიციები მთელ ქვეყანაში.

„რუსეთისთვის არასოდეს ყოფილა მთავარი ორი ტერიტორია, – ამბობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია. – მათი მიზანია დააბრუნონ საქართველო თავისი გავლენის სფეროში, ჰყავდეს აქ სუსტი მთავრობა... მიზანს ვერ მიაღწიეს, ამიტომ აკეთებენ ყოველივე ამას“.

რეფერი მალხაზ ბეუკლიშვილი ამბობს, რომ იგი გაიტაცეს ოსურად მოლაპარაკეებმა და წაიყვანეს სამხრეთ ოსეთში, თანაც ისინი არ გაუჩერებიათ საზღვრის არც იქით და არც აქითა მხარეს. იგი ჰყავდათ სოფლის სახლში და პერიოდულად სცემდნენ, მაგრამ შემდეგ გამტაცებლებმა გადასცეს რუს და ოს სამხედრო მოსამსახურეებს.

მსაჯი ამბობს, რომ, როდესაც იგი მიჰყავდათ, მან უკან გაიხედა და დაინახა, რომ მისი გამტაცებლები მშვიდად ელაპარაკებოდნენ სხვა ჯარისკაცებს.

„სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ გაათავისუფლა ბეუკლიშვილი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და ევროპელი მეთვალყურეების ჩარევის შემდეგ და აცხადებენ, რომ გატაცების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრმა მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ადამიანთა გატაცებისა და სნაიპერული სროლების შემდეგ არ დაუპატიმრებიათ არავინ, ხოლო 12 ქართველი სამხედრო მოსამსახურე ძველებურად ითვლება უგზოუკვლოდ დაკარგულად საზღვრისპირა ზონაში. „ჩვენთვის ცხადია, რომ ამას აკეთებენ რუსები, ან ეს კეთდება მათი ხელშეწყობით, – განაცხადა მან. – ისინი ცდილობენ დაანგრიონ საქართველოს სახელმწიფო“.

რუსეთი უარყოფს, რომ მისი სამხედრო მოსამსახურეები შევიდნენ ქვემო ნიქოზში და ამტკიცებს, რომ პროვოკაციულ მოქმედებებს ახორციელებენ სწორედ ქართველები, იტაცებენ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს და აძლიერებენ თავიანთ სამხედრო დაჯგუფებებს საზღვრისპირა რაიონებში.

მაგრამ საქართველოში ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ მოახდინეს ყველა ქართული მნიშვნელოვანი გარნიზონის ინსპექტირება საზღვრისპირა რაიონში და ძალების გაზრდა არ შეუნიშნავთ.

იანვრის ბოლოს საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროკავშირის მისიასთან შეიარაღების გაყვანის შესახებ ბუფერული ზონებიდან, რომლებიც საზღვართან მდებარეობენ და ევროპელებმა მოუწოდეს რუსეთს, გადადგან საპასუხო ნაბიჯი.

რუსეთის ოფიციალურმა პირებმა ამ ზომას არაეფექტიანი უწოდეს და განაცხადეს, რომ საჭიროა შემცირდეს მხოლოდ საქართველოს ძალების რიცხოვნობა, ვინაიდან სწორედ ისინი დაესხნენ თავს აგვისტოში სამხრეთ ოსეთს, მაშინ როდესაც რუსეთის ჯარები იცავდნენ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს.

ევროკავშირის წარმომადგენლებს არ აძლევენ საშუალებას შევიდნენ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, მონიტორინგის პატარა ევროპული ჯგუფი კი, რომელსაც ასევე არ უშვებენ ამ ტერიტორიაზე, რუსეთის მოთხოვნით, გამოყვანილი უნდა იქნეს იქიდან უახლოეს თვეებში.

აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, მიუხედავად საქართველოს, შეერთებული შტატებისა და ბევრი ევროპული ქვეყნის წინააღმდეგობისა. მან გამოიყვანა თავისი ჯარები საქართველოს მიმდებარე ტერიტორიებიდან ნოემბრის დასაწყისში მას შემდეგ, რაც ევროკავშირი დათანხმდა გაგზავნოს იქ მეთვალყურეთა თავისი მისია.

მაგრამ, ქართველი, ევროპელი და ამერიკელი მეთვალყურეების სიტყვებით, რუსეთი აგრძელებს შეთანხმების პირობების დარღვევას, რომელიც მიღწეული იქნა საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით და რომლის შესაბამისადაც ორივე მხარემ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები ომამდელ პოზიციებზე. ქართველი ოფიციალური პირების სიტყვებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებულია დაახლოებით 8 ათასი რუსი სამხედრო, სამჯერ მეტი, ვიდრე ეს კონფლიქტამდე იყო, და მათ უკავიათ პოზიციები საზღვართან უფრო ახლოს, ვიდრე ომის დაწყებამდე.

ამას გარდა, რუსეთის ძალები აგრძელებენ ახალგორის რაიონის ოკუპაციას, რომელიც ომის დაწყებამდე საქართველოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, და გამოაცხადეს ახალი სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ სადავო ტერიტორიებზე.

ქართველი ჩინოვნიკები აღიარებენ, რომ მათი ქვეყანა იმყოფება უფრო მტკივნეულ მდგომარეობაში, ვიდრე ეს ომამდე იყო, ამბობენ, რომ მთავრობა პენტაგონთან ერთად მუშაობს არმიისა და ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოდერნიზაციაზე. მაგრამ, მათი აზრით, არმია პრაქტიკულად დაუცველია რუსეთის თავდასხმებისგან, ან უშიშროების დარღვევისგან საზღვრის პერიმეტრებში.

„ჩვენ დაძაბულად ვმუშაობთ იმაზე, რომ დავრჩეთ საერთაშორისო გაერთიანების მხედველობის არეში, რათა ჩვენი ნაბიჯების ფასი იყოს რაც შეიძლება უფრო მაღალი, – ამბობს ბოკერია. – ეს ერთადერთი საშუალებაა რუსეთის შესაჩერებლად“.

**ფილიპ პენი,**
სპეციალური კორესპონდენტის
**თემო ბარქიმაშვილის**
მონაწილეობით

The Washington Post

# თავისუფალი მედიის შეზღუდვის შედეგი

**კორუფციისა** და მასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელმა მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ Global Integrity-მ, რომლის ოფიციალური მხარდამჭერები არიან ავსტრალიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, Legatum Ihstiture და მსოფლიო ბანკი, 92 ქვეყანაში მომუშავე 260 ჟურნალისტის შარშანდელი მუშაობის შედეგები ანგარიშის სახით გამოაქვეყნა, რომელსაც „პოლიტიკაში ფულის არალეგალური დინება და კორუფციის არსებობის საშიშროება“ ეწოდება.

Global Integrity-ს დირექტორის ნასენიალ ჰელერის აზრით, ფაქტობრივად **ყველა ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა პოლიტიკური პარტიებისა და სხვადასხვა დონის პოლიტიკური ამბიციების მქონე კანდიდატთა საქმიანობის ფინანსური მხარის მიჩქმალვა.**

– როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები ერთი და იგივე დილემის წინაშე დგანან – ესაა კორუფცია და ძალადობის პრობლემა, რასაც ყველა კანონიერი საშუალებით უნდა ვებრძოლოთ, – აღნიშნავს ჰელერი.

ორგანიზაციის 2008 წლის ანგარიშში მოცემულია როგორც განვითარებული, კერძოდ, კანადის, იაპონიის, იტალიისა და სხვ., ისე განვითარებადი ქვეყნების (არგენტინის, ჩინეთის, ერაყის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის და ა.შ.ძ, მათ შორის საქართველოს მონაცემები. ანგარიშში მითითებულია კორუფციის ფაქტები და მისი თავიდან არიდების მექანიზმები, დასახელებულია გამჭვირვალობის 300-ზე მეტი ინდიკატორი, ქვეყნების სუსტი მხარეები და სფეროები, სადაც კორუფციას ყველაზე დიდი გასაქანი აქვს. ასევე ნახსენებია ის ქვეყნები, სადაც **ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ნაკლებად კონტროლდება პოლიტიკაში არალეგალური ფულის დინება, სუსტია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მრეწველობის მონიტორინგი და დიდია მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის წყაროების მითვისების მასშტაბები.**

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან განვითარებად და კორუფციის საფრთხის წინაშე მდგარ ქვეყნებს შორის არიან **აზერბაიჯანი, ბელორუსია, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლიტვა, მოლდოვა და რუსეთი.**

საქართველოს შესახებ Global Integrity-ს 2008 წლის ანგარიშში, კერძოდ, ნათქვამია, რომ რუსეთთან შარშანდელმა აგვისტოს ომმა კონფლიქტის რეგიონში, ანუ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში, **გამოავლინა საქართველოს მთავრობის სუსტი მხარეები, კერძოდ, ხელისუფლების მხრიდან აღმასრულებლებსა და ძალოვანებზე სუსტი კონტროლი.**

აღმასრულებლები ძალიან იშვიათად ხსნიან და განმარტავენ თავიანთ გადაწყვეტილებებს. ამის გაკეთების იძულებისთვის კი არანაირი ფორმალური საფუძველი არ არსებობს, რადგან **თავისუფალი მედია საქართველოში შეზღუდულია, რის შედეგად სამთავრობო სტრუქტურებიდან საჭირო ინფორმაციის მიღება ძალიან რთულია.** ქვეყანაში ასევე მწვავედ დგას ადმინისტრაციული და სამოქალაქო მომსახურების პრობლემაც. მაგალითად, „კანონმდებლობით არ რეგულირდება პრივატიზებაში ჩართული მაღალ თანამდებობის პირთა შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტები“, – აღნიშნულია Global Integrity -ს ანგარიშში.

**ოთარ ტურაბელიძე**

## დედამიწის ზურგზე



**კიმ ჩენ ირი აწარმოებს იმ რაიონის ინსპექტირებას, სადაც მიმდინარეობს მზადება რაკეტის გაშვებისთვის**

სამხრეთ კორეაში მიაჩნიათ, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერის გამოჩენა სასტარტო კომპლექსის მახლობლად ნიშნავს რაკეტის გაშვების დაწყებას. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ გაშვება მოხდება თებერვლის ბოლომდე.

* * *



**ახალ ორლეანში კარნავალის დროს დახვრიტეს 7 კაცი**

დაზარალებულთა შორისაა პატარა ბავშვიც. თვითმხილველთა ცნობით, სროლების ხმა გაისმა ხალხში იმ დროს, როდესაც კარნავალის მონაწილეები საკარნავალო პლატფორმებზე მისრიალებდნენ მაყურებლის წინ. დანაშაულის ადგილზე დააკავეს ორი ეჭვმიტანილი.

* * *

**აშშ-ს რესპუბლიკურმა პარტიამ უპასუხისმგებლო უწოდა დღევანდელი დემოკრატიული ადმინისტრაციის ეკონომიკურ პოლიტიკას**



ასეთი კატეგორიული შეფასება გააკეთა ლუიზიანის შტატის გუბერნატორმა ბობი ჯინდალმა. სწორედ ამ 37 წლის ქარიზმატულ პოლიტიკურ ლიდერს, რომელსაც უწინასწარმეტყველებენ 2012 წლის არჩევნებზე თეთრი სახლის ბატონ-პატრონის პოსტს, ანდეს რესპუბლიკელებმა გამოსულიყო საპასუხო სიტყვით ობამას მიმართვის შემდეგ კონგრესის ორივე პალატისადმი.

* * *

**ობამა კონგრესმენებს: „დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო გაერთიანებასთან ურთიერთმოქმედების ახალი ერა“**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გამოვიდა თავისი პირველი მიმართვით კონგრესის ორივე პალატისადმი. ამ სიტყვაში ახალმა ამერიკელმა ლიდერმა წარმოადგინა თავისი მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. იგი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟის თემას საერთაშორისო არენაზე, კრიზისს, ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს. მან ილაპარაკა აგრეთვე ერაყის, ავღანეთისა და გუანტანამოს შესახებ.



◉ მკითხველის ნაამბობი

# დედინაცვალი — თვალში ნაცარი?

**მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ვალოდია ქობალია უკვე ასაკოვანი იყო და ჯარში არ გაიწვიეს. იგი მშობლიურ სოფელ კორცხელში დურგლად მუშაობდა, ლამაზ ოდასახლებს აგებდა, რომლებიც ზუგდიდის რაიონის ბევრ სოფელს ამშვენებდა.**

ერთ დღეს გამრჯე, საქმის უბადლო ოსტატს უბედურება დაატყდა თავს — მოულოდნელად ცოლი გარდაეცვალა. წელიწადი იგლოვა საყვარელი მეუღლე, ვერ გადაეწყვიტა, მეორედ დაქორწინებულიყო თუ არა. ერთხელაც მამიდაშვილის დაბადების დღეზე უცნობი ქალი შენიშნა, რომელიც სუფრას ემსახურებოდა. ვალოდიას მოეწონა.

— ვინ არის ეგ ქალი? — ჰკითხა მამიდაშვილს.

— ოო, ეს ჩვენი კარის მეზობელია, ფაცია. ყოჩაღი და პატიოსანი ქალია. გათხოვება დააგვიანა, ძმა ჯარში ჰყავს და მისი შვილების გაზრდაში ეხმარება ოჯახს.

წვეულების შემდეგ ვალოდიამ ფაცია დაიმარტოხელა. ლაპარაკით თავს არ შეგაწყენ, მინდა ცოლად გამომყვეო, თქვა ვალოდიამ და თავი დახარა.

— ვიცი, რაც უნდა მითხრა, — უთხრა ფაციამ, — თუ ცოლად გამოგყვები, ოჯახში სამი გერი დამხვდება, სამივე ბიჭი. გყავს ორი ძმა — კოლია და რაჟდენი, რომლებიც შენს გვერდით ცხოვრობენ.

— ბიჭოს, შენ ყველაფერი გცოდნია. ეს კარგია, მაგრამ ჩემს წინადადებაზე რას მეტყვი?

— ნაუცბათევად ვერ გადავწყვეტ, მოვიფიქრებ.

ვალოდია ერთი კვირის თავზე კვლავ შეხვდა ფაციას, გამოსდო ხელი და შინ წაიყვანა.

ახალი დიასახლისი ოჯახში შესვლისთანავე დატრიალდა. პირველ რიგში ოთახები დაალაგა, კარ-მიდამო დაასუფთავა, ბავშვები მკერავთან წაიყვანა და ტანსაცმელი შეუკერა, სკოლაშიც მივიდა და მათი სწავლა-ქცევის ამბები შეიტყო.

მეზობლები ამბობდნენ, ახალი ცოცხი ყოველთვის კარგად გვის, ცოტა ვაცალოთ და ყველაფერი გამოჩნდებაო. დრო გადიოდა, ფაცია უფრო და უფრო კარგ ქალობას იჩენდა. მეზობლებს ჭირში თუ ლხინში გვერდში ედგა, გერებს ისე უვლიდა, თითქოს მისი ნაშობნი ყოფილიყვნენ.

ერთხელაც უმცროსი გერი ატირებული მივიდა სახლში.

— რა მოგივიდა? — იკითხა ფაციამ.

— დათომ მცემა, — მიუგო სლუკუნით პატარამ.

დათო ზუგდიდელი იყო. ბებია და ბაბუასთან ხშირად ჩადიოდა სტუმრად. თანატოლებში ყოჩობდა. გაცხარებული ფაცია ბიჭს სახლში მიუვარდა და ყური კინაღამ აახია. ბოსტანში მოფუსფუსე ბებიას ეს არ ესიამოვნა და შენიშვნა მისცა:

— არ გეკადრება, ფაცია, შენ ეს. ჩემმა შვილიშვილმა თუ შენ გერს სცემა, მე უნდა მითხრა და დავსჯი.

— გერი კი არა, ჩემი შვილია და ვინც ამათ დაჩაგვრას შეეცდება, ჩემთან ექნება საქმე, — მიუგო ფაციამ.

ფაციას მალე გოგო შეეძინა. ბევრს ეგონა, რომ საკუთარ შვილს გერებზე წინ დააყენებდა, მაგრამ პირიქით მოხდა.

ამას ხალხი ხედავდა. მისი კარგი ქალობის სახელი სოფელს გასცდა და მთელ რაიონში გახდა ცნობილი.

თუ ვინმე დედინაცვალზე ავს იტყოდა, მაშინვე ფაციას კარგი ქალობა მოჰყავდათ მაგალითად. თან დასძენდნენ, დედინაცვალი ყოველთვის თვალში ნაცარი როდიაო.

ბორის ჭითანავა

◉ ინფორმაცია

## ვერბეკე სოხუმში ხვალ ჩავა

**საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის იოჰან ვერბეკეს სოხუმში ჩასვლა ორი დღით გადაიდო. ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება.**

**ვერბეკე სოხუმს 27 თებერვალს ეწვევა და აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას და უშიშროების საბჭოს მდივანს სტანისლავ ლაკობას შეხვდება.**

**„აპსნი პრესის“ ინფორმაციით, სოხუმში ვერბეკეს ჩასვლა მისი სამუშაო გრაფიკის შეცვლის გამო გადაიდო.**

ინტერპრესნიუსი



# შპს „ საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს აუქციონს

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული 300 ერთეული ვაგონ-ცისტერნის, აუქციონის ფორმით, იჯარით გაცემის მიზნით

1. **საიჯარო ქონების დახასიათება - 300 ერთეული ვაგონ-ცისტერნა (ვაგონების სია თან ერთვის).**

- **ქონების საწყისი საიჯარო გადასახადი - 1 ვაგონ-ცისტერნაზე, 1 დღე-ღამეში - 25 დოლარის ექვივალენტი ლარში (დღგ-ს გარეშე).**
- **„ბე“ — 20 000 დოლარის ექვივალენტი ლარში (დღგ-ს გარეშე).**
- **ბიჯი - 0.10 დოლარის ექვივალენტი ლარში (1 ვაგონ-ცისტერნაზე, 1 დღე-ღამეში).**
- **იჯარის ვადა - 1 წელი.**
- **ბილეთის ფასი - 200 ლარი.**
- **განცხადების მიღების ადგილი -** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული ტელ: 56 33 48; 56 65 10
- **განცხადების მიღების ვადა -** 2009 წლის 25 თებერვლიდან 2009 წლის 11 მარტის ჩათვლით, აუქციონის ჩატარების დღემდე 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე.
- **აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო -** 2009 წლის 11 მარტი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში 14:00 საათზე. როდესაც აუქციონის ჩატარების დღე ემთხვევა დასვენების დღეს, ამ შემთხვევაში განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12:00 საათზე, ხოლო აუქციონი ჩატარდება ამავე დღის 14:00 საათზე.
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები —** „ბანკი რესპუბლიკა“ ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.
- **აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ -** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. აუქციონის პირობები**

2. 1. საიჯარო ქირა „მოიჯარემ“ „მეიჯარეს“ უნდა გადაუხადოს, ყოველი საანგარიშსწორებო თვის, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე. ანგარიშსწორება ხორციელდება, ყოველი თვის ბოლო დღის, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით.

2. 2. საიჯარო ქირის გადახდას „მოიჯარე“ იწყებს, იჯარით გადაცემული ქონების, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

2. 3. „მეიჯარე“ „მოიჯარეს“ ანიჭებს უფლებას საიჯარო ქონება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში „მეიჯარის“ თანხმობის გარეშე გაიყვანოს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

2. 4. იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას“ ნორმალური ფუნქციონირებისათვის,ვარგის მდგომარეობაში.

2. 5. „მეიჯარე“ „მოიჯარეს“ საიჯარო ქონებას გადასცემს კაპიტალური, სადეპოო და მიმდინარე შეკეთებით (ვადიან ვაგონებს).

2. 6. იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ ვაგონებს გარბენის გამო მოუწევს კაპიტალური, სადეპოო ან მიმდინარე შეკეთება, „მეიჯარე“ უზრუნველყოფს საიჯარო ქონების მიმდინარე, სადეპოო ან კაპიტალურ შეკეთებას საქართველოს ტერიტორიაზე.

2. 7. „მოიჯარე“ ვალდებულია დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარ-საწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს ქონების მოვლა-პატრონობა.

2. 8. იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 ივნისის №1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული, ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

**3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები**

3. 1. საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია, საიჯარო თანხის მაქსიმალური გადასახადის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული გადასახადის საწყის თანხას და აუქციონის პირობების სრულად დაკმაყოფილებას.

**4. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და იჯარის ხელშეკრულების დადება**

4. 1. სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი აუქციონის შედეგების შესახებ, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერენ: აუქციონში გამარჯვებული, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე.

4. 2. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ აუქციონში გამარჯვებულს, ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.

4. 3. აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით, აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.

4. 4. აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება. „მოიჯარე“ ვალდებულია ყოველ 6 თვეში ერთხელ შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4. 5. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში „მოიჯარე“ იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა, დარღვევის აღმოსაფხვრელად.

4. 6. თუ „მოიჯარე“ დაარღვევს საიჯარო გადასახადის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (პორგასამტეხლო „მოიჯარეს“ ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

4. 7. თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში „მოიჯარე“ არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში „მოიჯარე“ კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია**

5. 1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იჯარის საწყისი დღიური გადასახადის ოდენობას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს. განაცხადში უნდა აისახოს მონაწილის თანხმობა აუქციონის პირობების შესრულებაზე.

5. 2. „ბე“-ს და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით ( 1 პუნქტი).

5. 3. აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5. 4. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5. 5. სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს, აუქციონში მონაწილის სტატუსს.

**6. შენიშვნები და დათქმები**

6. 1. „მოიჯარეს“ გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება ანგარიშსწორებისას.

6. 2. დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება.

6. 3. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

**საიჯარო ქონებაზე (ვაგონცისტერნების ნუსხის შესახებ) დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „ საქართველოს რკინიგზაში“.**

**ელ.ფოსტა.:** eka@railway.ge

**ტელ: 56-33-48; 56-65-10;**

ახია ჩვენზე

# კოკასა შიგან...

**უკვე ორი კვირა სრულდება, რაც ქართული სპორტული პრესის ფლაგმანის – გაზეთ „ლელოსა“ და კახი კალაძის კონფლიქტი ვითარდება. ამ ხნის განმავლობაში, ვიმედოვნებდით, მხარეები კონსენსუსამდე მივიდოდნენ, მაგრამ ვინაიდან განდიდების მანიით შეპყრობილი მილანის პრიმადონა და მისი ოჯახი დაუკრეფავში გადავიდნენ, თავს ვალდებულად ვთვლით, კოლეგიალობა გამოვიჩინოთ და სათქმელი შეულამაზებლად ვთქვათ.**



უპირველესად, იმ ფაქტის შესახებ, რასაც აურზაური არაფრის გამო მოყვა. 15 თებერვალს, მოგეხსენებათ „როსონერიმ“ ყოფნა-არყოფნის მატჩი წააგო „ინტერთან“ და ამ დამარცხებაში იტალიურმა პრესამ ჯვაროსანთა კაპიტანი დაადანაშაულა. ერთ-ერთი სტატია სათაურით „კალაძის საშინელი შოუ“ „ლელომაც“ გადმობეჭდა და სწორედ ეს იუკადრისეს ლომბარდიული გრანდის ქართველმა ლეგიონერმა და მისმა „კეთილისმსურველებმა“. მეტიც, მამამისმა – კარლო კალაძემ „ტკბილ-ტკბილი“ სიტყვებით მოიხსენია რედაქციის ერთ-ერთი თანამშრომლის სანათესაო, ხოლო თვით პოლიტ-ბიზნესამბიციებმოძალებულმა მოდელმა არც მუქარა დაიშურა – აუცილებლობის შემთხვევაში სხვაგვარად დაგელაპარაკებითო.

რომ იტყვიან, ახია ჩვენზე – განა ჟურნალისტებმა არ შევქმენით კალაძის ხატი, თითქოს ხურცილავასა და ჩივაძის (გვაპატიონ ტყავის ბურთის სხვა დიდოსტატებმა, რომ ყველას ვერ ჩამოვთვლით) სამშობლოში პროფესიონალ ცენტრალურ მცველთა დეფიციტი ყოფილიყოს. ზოგიერთი კალმოსანი ისეთ სიმდაბლემდე დაეშვა, სამტრედიის მკვიდრი ყველაზე ტიტულოვან ქართველ ფეხბურთელად შერაცხა, თითქოს ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონები არ გვყავდეს სანაკრებო დონეზე. ასე როგორ უნდა დაგვაზარმავოს ჩემპიონთა ლიგაში ორგზის მოპოვებულმა იმ წარმატებამ, რომელშიც არავისზე მეტი წვლილი არ შეუტანია შენს თანამემამულეს. უფრო, ვფიქრობთ, პირიქითაა – გავიხსენოთ თუნდაც იუვენტუსთან მოგებული ფინალის პენალტების სერიაში კალაძის გაცუდებული დარტყმა.

რაც შეეხება „ღირსებაშელახული“ მოთამაშის პიროვნულ თვისებებსა და ზემოთ უკვე ნახსენები მუქარის მოტივებს, კახის მოკრძალებულად შევხედავთ: საკუთარი პრობლემების მოგვარება მამის ჩაურევლადაცაა შესაძლებელი, მაგრამ ამას საკუთარი ძალების რწმენა სჭირდება ისევე, როგორც მწვანე მინდორზე.

სხვათა შორის, ანალოგიური მოსაზრება კალაძეების ოჯახური ტრაგედიის დღეებშიც გამოითქვა, როცა კაცური ჩარევის ნაცვლად უმძიმესი საკითხის გადაჭრა მერაბიშვილსა და მის გოშიებს გადაულოცეს.

ეჰ, სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ ამჯერად, მოდით, აქ დავსვათ წერტილი – იქნებ ემოციები დაცხრეს და სკანდალიც დასრულდეს.

**გია პლატონიშვილი**

ფუტსალი

# ყოჩაღ, ბიჭებო!



**ქართულ ფეხბურთში ჩამოწოლილი ბურუსის ფონზე ერთგვარ გამონათებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ფუტსალის ეროვნული ნაკრების მიერ მალტაზე გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოპოვებული წარმატება.**

ავთანდილ ასათიანის შეგირდებმა მასპინძელთა – 3:1 და ალბანელთა – 3:0 ძლევით ვადამდე მიაღწიეს მთავარ მიზანს და, მართალია, უმოტივაციო დასკვნითი მატჩი საბერძნეთის გუნდთან 0:5 დათმეს, ელადელებთან ერთად ელიტრაუნდში თამაში გაინაღდეს.

ლიტვა, უკრაინა და იტალია – აი, ჯვაროსანთა მომავალ მეტოქეთა ვინაობა. მათი ბატალიები 19-22 მარტს ბალტიისპირულ სახელმწიფოშია დანიშნული.

ძიუდო

# პირველი არმიული



**სპორტკლუბ „ორბის“ დარბაზში დამთავრდა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი პირად-გუნდური შეჯიბრება ძიუდოში. ტურნირი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.** ტატამზე სხვადასხვა ბრიგადისა და ბატალიონის 170 სპორტსმენი გამოვიდა. წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეავიდნენ ხვიჩა ხაფთანი, მამუკა მაზმიშვილი, ზურაბ დოლანაძე, ალექსანდრე ჩახუნაშვილი, მამუკა მარგიანი, კახაბერ მურაჩაშვილი, დათო დარძული. საერთო გუნდურ ჩათვლაში მთავარი პრიზი სპეცდანიშნულების ბატალიონის ძიუდოისტებმა მოიპოვეს.

საგულისხმოა, რომ არმიელებს სპორტის დეპარტამენტმა ორი ტატამი, თოთხმეტი კიმონო, ასევე, მედლების შვიდი კომპლექტი და თასი აჩუქა გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

გაერთიანებული შტაბის სპორტის სამსახურის უფროსის ლევან კილაძის თქმით, საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველობები კიდევ ათ სახეობაში გაიმართება.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ჩემპიონები.**

**ავტორის ფოტო.**

ფეხბურთი



# ღირსება ყველამ შეინარჩუნა

**ჩემპიონთა ლიგის პირველმა მერვედფინალურმა რაუნდმა დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე შემთხვევით არავინ ხვდება. მართლაც, ოთხიდან სამმა ფრედ დასრულებულმა შეხვედრამ ყველა დაარწმუნა – ბრძოლას პრესტიჟული საკლუბო ჯილდოსათვის მხოლოდ ღირსეულნი განაგრძობენ და წინ წაწევის შანსს თითოეული მათგანი ინარჩუნებს.**

**ლიონი – ბარსელონა 1:1**

შეხვედრა ჟუნინიოს ზღაპრულმა საჯარიმომ დაამშვენა. ეს ბრაზილიელის 43-ე(!) „სტანდარტული“ გოლია ფრანგული კლუბის მაისურით. აღსანიშნავია ისიც, რომ საპასუხო გოლი თანამემამულეებს ანრიმ გაუტანა.

**არსენალი – რომა 1:0**

ამ უსახური სანახაობის ერთი დამახასიათებელი შტრიხი: მეტოქეებმა სულ 3(!) კუთხური მოაწოდეს. რაც შეეხება მატჩის ბედს, იგი 37-ე წუთზე გადაწყდა, როცა ვან პერსიმ საკუთარ საჯარიმოში წესი მექსეზს დაარღვევინა და პენალტი თვით ჰოლანდიელმა შეასრულა უზადოდ.

**ინტერი – მანჩესტერი 0:0**

მასპინძლებმა ძეგლი უნდა დაუდგან ბრაზილიელ მეკარე ჟულიო სეზარს, რომელმაც შესვენებამდე რამდენიმე დუელი მოუგო რონალდუს. მართალია, მეორე ტაიმში ჟოზე მაურინიუს გუნდმა სიტუაცია გამოასწორა, მაგრამ გასამარჯვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ატლეტიკო – პორტუ 2:2**

გატანილი ბურთების სიუხვემ არავინ დააბნიოს – მეკარეებმა ლეო ფრანკომ და ელტონმა აშკარად ჩააფლავეს მადრიდული ბრძოლა, რომელშიც დუბლი სტუმართაგან ლისანდრომ შეასრულა.



* * *

**გუშინ გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებული შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

დინამო – ზესტაფონი 2:0 (ორივე გოლი შეცვლაზე შესულმა **სპასოევიჩმა** გაიტანა), ბორჯომი – ცხინვალი 1:3.

ჭადრაკი

# მაია სტამბოლში ითამაშებს

**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ინიციატივით ვაჟთა და ქალთა გრანპრის ტურნირები იმართება. მანდილოსნები 6-21 მარტს სტამბოლში ითამაშებენ. 12 მოჭადრაკე წრიული სისტემით შეხვდება ერთმანეთს.** ესენი არიან: ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2621), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2571), ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2557), პია კრამლინგი (შვედეთი, 2548), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2529), მაია ჩიბურდანიძე (საქართველო, 2516), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2508), ჟუ ჩენი (ყატარი, 2502), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2496), შენ იანგი (ჩინეთი, 2448), ზეინაბ მამედიაროვა (აზერბაიჯანი, 2362), ბეთულ ქემრე ილდიზი (თურქეთი, 2214).



ფიგურული ციგურაობა

# ახალგაზრდებშიც მოსინჯავენ ძალებს



**ქართველმა ფიგურულად მოციგურავეებმა – ელენე გედევანიშვილმა და ბექა შანყულაშვილმა ამას წინათ ევროპის ჩემპიონატზე ვერაფერი გააწყვეს, ამიტომ გადაწყვიტეს ახლა ახალგაზრდებშიც მოსინჯონ ძალები, ოღონდ მსოფლიო პირველობაზე, რომელსაც სოფია უმასპინძლებს.**

**ბექამ წუხელ გვიან ღამით ისასპარეზა, გედევანიშვილი კი 27 თებერვალს გამოვა ყინულზე.**

სამთო თხილამურები

# გუდაურიდან ბაკურიანში გადაინაცვლეს



**გიგანტურ სლალომში, რომელსაც გუდაურმა უმასპინძლა, საქართველოს ნაკრების წევრებიც მონაწილეობდნენ. პირველი ადგილი ტურნირის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე იასონ აბრამაშვილმა (ბაკურიანი) დაიკავა, მეორე იყო გუდაურელი ალეკო ბენიანიძე, მესამე ადგილი კოტე ვახტანგიშვილს (ბაკურიანი) ხვდა.**

**ქალებში საპრიზო სამეული ასეთია:** 1. ნინო წიკლაური (გუდაური), 2: ნატალია გავა (ბაკურიანი), 3. თეონა მელიქიშვილი (გუდაური).

შეჯიბრების მონაწილეებმა გუდაურიდან ბაკურიანში გადაინაცვლეს და იქ განაგრძობენ პაექრობებს.

ინტერნეტიდან

## კვლავ სამხრეთ ამერიკაში

**აფრიკაში „დაკარი-2008“ უსაფრთხოების დაუცველობის გამო ჩაშლის შემდეგ, ამ პოპულარულმა რალი-რეიდმა სამხრეთ ამერიკაში გადაინაცვლა და ჩილე-არგენტინა „დაიპყრო“. როგორც ცნობილი გახდა, ისევ სამხრეთ ამერიკაში გაიმართება „დაკარი-2010“.**

ჩილეს მთავრობის პრეს-ატაშეს განცხადებით, ქვეყნის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ აცნობა ავტომარათონის ორგანიზატორებს თავისი გადაწყვეტილება – კვლავ მიიღოს ეს შეჯიბრება.

ახალი „დაკარის“ გამართვის დეტალები გამოქვეყნდება ჩილესა და არგენტინის მხარეებთან მოლაპარაკების შემდეგ.

## ბრაზილიელები გადარია

**ჟიზელ ბიუნდჰენმა, კლუბის New England Patriots მცველის ტომ ბრედის რჩეულმა, კინაღამ გადარია ბრაზილიელები, როდესაც იქაური ტრადიციული კარნავალის დროს სასტუმროს აივანზე შიშველი გამოვიდა.**

ცნობილია, რომ ახლა მთელი ბრაზილია დაკავებულია კარნავალით – თავისუფალი სიყვარულის, სამბასა და მზის დაუოკებელი და ვნებიანი დღესასწაულით. ლამაზმანმა ჟიზელმა, ახლა ბრაზილიის ერთ-ერთ ქალაქში რომ იმყოფება, ხალხს თავისი სხეულის მთელი სიმშვენიერე წარუდგინა და ძალზე კმაყოფილი დატოვა.

საერთო-სახალხო დღესასწაულში თვით ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის ინასიო ლულა და სილვაც კი მონაწილეობდა. მან რიოში კარნავალზე მთელი რვა საათი დაჰყო. ქვეყნის ლიდერი უფასო პრეზერვატივებს არიგებდა და უსაფრთხო სექსს უწევდა პროპაგანდას.



SOS!

# აღადგინეთ, სამართალი აღადგინეთ!

**ვითარების უსაშველოდ დაძაბვა, რამაც კაცს შესაძლოა უკიდურესი ნაბიჯი გადაადგმევინოს, სამწუხაროდ, აღარავის გვიკვირს — მარტო ექიმ გია აბესაძის მაგალითის მოყვანა კმარა, რომელმაც ცოცხლად დაიწვა თავი — ძმებო, ერთმანეთს ნუ ხოცავთო... თქვენც ნუ მომიკვდებით, განა ათხოვა ყური ძალაუფლების მქონე რომელიმე სულიერმა?..**

ახლაც ჩვენი კოლეგა და მეგობარი, საქართველოში პირველი დამოუკიდებელ გაზეთ „შანსის“ დამაარსებელი და რედაქტორი, სამი შვილის მამა, სასოწარკვეთის ზღვარზე მისული **ბონდო ქურდაძე** ბოლო ძალისხმევით ცდილობს ხელისუფალთა ყურადღების მიპყრობას, **სასამართლო გზით არაერთხელ დადგენილი სიმართლის აღსრულებას.** 23 თებერვლის გაზეთ „კვირის პალიტრაში“ საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარის გია თორთლაძისა და სახალხო დამცველის სოზარ სუბარის სახელზე დაწერილ ღია წერილში „დემონსტრაციულად მოვიკვეთ მარჯვენასო!“ აღნიშნავს.

ერთი გარემოება, რამაც კალამი ხელში ამაღებინა ისაა, რომ აფხაზეთის ომგამოვლილი გაზეთი „შანსი“ და მისი უამრავი თანამშრომელი იმ „სამართლის“ დაღუპულია, რომლის „მიუკერძოებლობით“ ასე ტრაბახობს დღევანდელი ხელისუფლება. **გაზეთის სულის ჩამდგმელი ბატონი ბონდო ქურდაძე კი, მეუღლესა და სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად, ხვალ, შესაძლოა, ბანკმა ქუჩაში გამოყაროს, რადგან გამოცემის გადასარჩენად საკუთარი ბინა დააგირავა რედაქტორმა სამართლიანობის აღსრულების იმედით, მაგრამ ეს იმედი სასტიკად გაუცრუვდა.**

ახლა კი ბატონი ბონდო ქურდაძე თავის დაზოგვაზე აღარ ფიქრობს და საჯაროდ მარჯვენის მოკვეთა აქვს ნათქვამი!

ამიტომ არის, რომ თავს უფლებას ვაძლევ და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივის სახელით ადამიანურ და კოლეგიურ თანადგომას ვუცხადებ ბატონ ბონდო ქურდაძეს და ხელისუფალთ მივმართავ **მოთხოვნით,** სასწრაფოდ აღასრულოს სასამართლოს დადგენილება გაზეთ „შანსისთვის“ მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურების თაობაზე და სამართალი აღადგინოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

საქმე №2/5519-07

## განჩინება

### საჯარო შეტყობინების შესახებ

5 იანვარი 2009 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მაკა ჭედიამ

მოსარჩელე: მარინე ძიძიგური;

მოპასუხე: ელგუჯა ჩახვაძე;

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობა.

განიხილა მხარისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების საჯარო შეტყობინების საკითხი.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. მოპასუხე ელგუჯა ჩახვაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე მარინე ძიძიგურის სარჩელის გამო ელგუჯა ჩახვაძის მიმართ გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე:

სარჩელის მოთხოვნებია: გარიგების ბათილად ცნობა და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობა.

სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებია: 1994 წლის 09 ივლისს სს კბ „კრედიკასა“ და მოსარჩელეს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება №2-93, რომლის თანახმად, ზემოხსენებულმა ბანკმა მარინე ძიძიგურს სესხის სახით გადასცა 800 აშშ დოლარი თვეში 30 პროცენტის საპროცენტო განაკვეთით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი თვით.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე მარინა ძიძიგურსა და მოპასუხე ელგუჯა ჩახვაძეს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება, რომლის მიხედვით, ელგუჯა ჩახვაძე კისრულობდა მარინა ძიძიგურის მიერ აღებული კრედიტის დაფარვის ვალდებულებას, ხოლო მარინა ძიძიგურს აღნიშნული თანხა ელგუჯა ჩახვაძისათვის უნდა დაებრუნებინა სამი თვის ვადაში. იმავე შეთანხმებით, მხარეებმა გააკეთეს დათქმა იმის შესახებ, რომ მარინე ძიძიგურს ელგუჯა ჩახვაძის მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად უნდა დაეგირავებინა ქ. თბილისში, ვექინის ქ. №2-ში მდებარე ბინა, რომელიც შეთანხმების მომენტისათვის მარინა ძიძიგურის საკუთრებას წარმოადგენდა.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ბინის დაგირავება მხარეებმა გააფორმეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სახით, რომელიც რეალურად არ ისახავდა მიზნად იმ იურიდიული შედეგის დადგომას, რომელიც მოჰყვა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. შესაბამისად, ხსენებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მხარეებმა დაფარეს ის გარიგებითი ურთიერთობა, რომელიც მათ შორის რეალურად არსებობდა. აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ვალდებულება, რომელიც ელგუჯა ჩახვაძემ მარინე ძიძიგურის მიმართ იკისრა, მას არ შეუსრულებია.

მარინე ძიძიგური აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული გარიგება დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყოლოდა და ბინა დღემდე მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობაში იმყოფება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოთ ისინი სასამართლოს მიღებიდან 10 დღის ვადაში. მოპასუხის მიერ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

2. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი;

მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლებელია მითითებული იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები;

ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში;

თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი სარჩელის წინააღმდეგ;

მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;

რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;

არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები;

ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ;

ვინ შეიძლება ჩაება პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე;

სხვა სახის შუამდგომლობები;

პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი განხილვის მოსაზრების თაობაზე;

მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.

მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მოპასუხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

3. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება პუბლიკაციიდან მე-7 დღეს;

4. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე მაკა ჭედია

გახსენება

## გურამ ქარქაშაძე



დღეს, შენი დაბადების დღეა, მეხუთედ ვიკრიბებით უშენოდ, იმ რესტორანში შენ რომ გიყვარდა. სევდიანად ვიტყვით შენზე სადღეგრძელოს, სიცოცხლეში უხერხულობდი ქებას, ახლა კი... გასუსულები მოვუსმენთ ერთმანეთს. შენი გახსენება ხომ ნაადრევად დაგვიტოვე „ვალად“. გაგიხსენებთ ისეთს, როგორიც იყავი: ზრდილი, თავმდაბალი, ბრძენკაცს რომ ამშვენებს, ისეთი სიტყვაძუნწი, ოდნავ მორცხვიც, უანგაროდ გვერდში მდგომი და სიკეთის საკეთებლად მახვილივით შემართული, აკეთებდი კიდეც... სიკეთის კეთება ხომ შენს ვალად მიგაჩნდა...

შენი გარდაცვალების დღეს სასაფლაოზე ავედით, კარგი ამინდი იყო. მდუმარედ ვუყურებდით, თუ როგორ ფუსფუსებდნენ საფლავთან შენი შვილიშვილები, ბუნჩულა ხელებით აწყობდნენ ყვავილებს, ასწორებდნენ წაფერდებულ სანთლებს, დრო და დრო კი შენს სურათს სათუთად ეფერებოდნენ. გრძნობდი ალბათ მათ ალერსსა და სითბოს... შენ ხომ მათ შენი დარჩენილი სიცოცხლეც „აჩუქე“... შემდეგ შენმა სათნო მეუღლემ სახლში მიგვიპატიჟა, სუფრა გაგვიწყო, შენი ვაჟი დაგვტრიალებდა თავს. „შენსავით“ გვეფერებოდა. დამწუხრებულები ისხდნენ შენი მძახლები, ვერ მოასწარით საერთო სიხარულის გაზიარება. არადა, როგორ იამაყებდი შენი ქალიშვილითა და სიძით...

იმ დღეს, შენი კოლეგა რექტორები შევიკრიბეთ. უცებ „თავადის ქალი მაია“... გაისმა. თითქოს რაღაცამ გვიბიძგაო — ფეხზე წამოვდექით, მივხვდით, რომ შენს ხსოვნას წამოვუდექით. დღესაც შევუკვეთავთ შენს სიმღერას, ახლაც წამოვდგებით ფეხზე და მდუმარედ მოვისმენთ მას, შენს მაგივრადაც მოვუსმენთ, ის შენი სიმღერა იყო და იმიტომ...

მეტი რაღა „გითხრა“. არ დაილუპება ის ერი, შენნაირი კაცის ხსოვნის შენახვა რომ შეუძლია... სამწუხაროა, რომ საქართველოში ასეთები ცოტანი დავრჩით, მაგრამ მაინც ხომ ვართ...

მეგობრების სახელით
**ნაპოლეონ ქარქაშაძე**

## სპირიდონ (პაატა) ციციშვილი



უკვე 10 გაუსაძლისი წელი გასულა შენი გარდაცვალებიდან. ისე წახვედი, ერთი კვნესა ან ჩივილი არ დაგცდენია. ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ გიშველეთ. შენ კი ყველას აპატიე დაუმსახურებელი წყენაც და ტკივილიც. დრო თურმე არ ყოფილა მკურნალი. ნეტავ იცოდე რა უსაშველოდ გვენატრები. გიგონებთ ყოველ წუთს და ყოველ დღე. აბა როგორ დაგივიწყებენ შენი ახლობლები, მეზობლები, მეგობრები, თანამშრომლები — რომელთა გვერდით ცხოვრების დიდი ნაწილი — 43 წელი გაატარე. შვილებისთვის ხომ თბილი და ალერსიანი მამა იყავი, შვილიშვილების მოფერებით გული ვერ იჯერე — ისინი მაშინ ჯერ კიდევ პატარები იყვნენ. მხოლოდ მაკა შემოინახავს შენს ხსოვნას.

დღე ისე არ გავა გამომცემლობის თანამშრომლებმა კეთილად რომ არ მოგიგონონ. ღირსეულმა კოლექტივმა საქმიანობაც ღირსეულად დაგიფასა. მინიჭებული გქონდა პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და მადლობები, მრეწველობისა და კულტურის საპატიო წოდებები.

ისღა დაგვრჩენია, ხშირად მოვიდეთ შენს საფლავთან და ვილოცოთ შენი სულისთვის.

ნათელი და სანთელი არ მოგკლებოდეს მარადიულ სასუფეველში.

მეუღლე, შვილები და შვილიშვილები



რუსუდან პიტავა დიდი გულისტკივილითა და ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტი ადამიანობისა და კაცობის განსახიერება, ასევე ჭეშმარიტი პროფესიონალი, უგულითადესი მეგობარი, ჩვენი საერთო ჭირისა და ლხინის მუდმივი თანაზიარი, გამორჩეულად საჩინო პიროვნება და გულმხურვალე მამულიშვილი

იური გაბისონია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის დიდებულ ოჯახს — მეუღლეს და შვილებს, რომელთა მწუხარებაც განუზომელია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ჟურნალისტ ანა წიწილაშვილს პაპის

კაპიტონ კენჭოშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება სასახლის პედაგოგის მედეა ჩიქოვანის მეუღლის

მიხეილ მაყაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

თუ გვსურს
ქვეყნად
სიყვარული დავნერგოთ,
თუ გვსურს
ზურგი შევაქციოთ
ჩარჩობას,
30-30 დავრეკოთ,
საწყალ ბავშვებს
დავუბრუნოთ
ბავშვობა.



ჯანსულ ჩარკვიანი

ფონდი „იავნანა“

## ინფორმაცია

# ჩვენს შორის დავა ძმური სიყვარულის პირობებში გადაწყდება

სომხეთის სულიერი ლიდერი „საქართველოსთან რელიგიური კონფლიქტის“ გადაჭრის მომხრეა.

სააგენტო „ნიუს არმენიას“ ცნობით, ამის შესახებ სომეხთა კათოლიკოსმა გარეგინ II-მ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან შეხვედრისას განაცხადა.

გარეგინ II-მ გამოთქვა იმედი, რომ სომხებსა და ქართველებს შორის არსებული დავა, რომელიც საქართველოში სომხური ეკლესიების კუთვნილებას ეხება, ძმური სიყვარულის პირობებში გადაწყდება.

– ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობა თბილი და მეგობრულია. ვიმედოვნებ, რომ ყველა პრობლემას ძმური სიყვარულით მოვაგვარებთ, – განაცხადა გარეგინ II-მ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სომხეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში შედგა სომეხთა კათოლიკოსისა და დავით ბაქრაძის შეხვედრაც.

რაც შეეხება საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ რელიგიურ უთანხმოებას, ის თბილისში არსებული 7 ტაძრის გამო წარმოიშვა. სომხები ამტკიცებენ, რომ ყველა ეს ტაძარი სომეხთა მიერ არის აგებული, თუმცა ქართველი ისტორიკოსები ამ ტაძართაგან ზოგიერთის სომხურ წარმომავლობას ეჭვქვეშ აყენებენ.

ინტერპრესნიუსი

## რარიტეტები

# ხელნაწერთა ინსტიტუტის „რეტრო“ გამოფენა

**19 თებერვლიდან „თიბისი ბანკის“ საგამოფენო დარბაზი XIX-XX საუკუნეების მწერლების, პოეტებისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების პირადი წერილებისა და უნიკალური ნივთების გამოფენას მასპინძლობს.** ღონისძიება ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტისა და „თიბისი ბანკის“ ერთობლივი ძალისხმევით ტარდება და დღეს დაიხურება. გამოფენილ ექსპონატთა შორისაა ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, დუტუ მეგრელისა და კონსტანტინე გამსახურდიას წერილები, რომელთაგან ზოგს თან ერთვის მათი უახლოესი მეგობრებისა და ნათესავების ეპიზოდური მოგონებები. განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილი მეუღლის ოლღა გურამიშვილისადმი, სადაც იგი წერს: **„შენ გეთაყვა, ოლიკო, ტელეგრამმით მაცნობე რამდენ ნომრიანს ფერჩატკებსა ყიდულობ ხოლმე: აქ ძალიან იაფია და კარგიც: მინდა გიყიდო. ამას გარდა გიყიდი სამ საკაბეს, არ ვიცი მოგეწონება თუ არა... ამასთანავე ვიყიდე ერთი იმისთანა რამ, რომელიც გაგაკვირვებს, როცა ნახავ. ახლა კი არას მოგწერ ის ერთი რამ რა არის“. აქვე დასძენს, წარმოიდგინე, ამოდენა ფული დაიხარჯა და მე სერტუკიც ვერ შევიკერეო“.**



ასევე საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის წერილი ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანისადმი,



სადაც მეცნიერი გულანთებული ევედრება ძვირფას მეუღლეს: **„მე ძალიან მოხარული ვარ, რომ სკრიპკას უკრავ; იცი, ჩემო მერცხალო, ნუ დაანებებ მუსიკას წურც როდის. თუ დაანებე, მაშინ შენც სხვებს დაემსგავსები, რომლებიც უკრავენ, უკრავენ და ბოლოს მიატოვებენ ხოლმე. მე ხომ არ გეუბნები კონცერტები გამართე-მეთქი, არა, მე მინდა მხოლოდ, რომ ამ მშვენიერ ხელოვნებას თავი არ დაანებო“.**

დარბაზში აგრეთვე გამოფენილია დიმიტრი შევარდნაძის, ანასტასია ხოშტარია-ერისთავის, უცნობი ავტორისა და კონსტანტინე გამსახურდიას სასიყვარულო მიმოწერები თავიანთ მეუღლეებთან. აღსანიშნავია, რომ ზოგი წერილი (იმის გამო, რომ მათი უმეტესობა ხშირად არ ქვეყნდებაძ დღემდე უცნობია ფართო საზოგადოებისთვის და ახლა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს კიდევ უფრო ღრმად გაეცნოს ჩვენი დიდი წინაპრების ძვირფას დანატოვარს. საბედნიეროდ „თიბისი ბანკისა“ და ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტის მესვეურები მსგავს ღონისძიებებს მომავალშიც გვპირდებიან და, როგორც გამოფენაზე მისულს განმიმარტეს, შესაძლოა აქციამ უფრო ფართომასშტაბიანი სახეც მიიღოს.

ჯაბა ჟვანია

## ინფორმაცია

# რეისი გაუქმდა, მგზავრებს კი არ შეატყობინეს

როგორც აეროპორტის პრესსამსახურში განაცხადეს, თვითმფრინავი ხარკოვის მიმართულებით სამშაბათს უნდა გაფრენილიყო, თუმცა ცნობილი გახდა, რომ რეისი საერთოდ გაუქმდა.

აეროპორტში იმყოფებოდნენ მგზავრები, რომლებმაც რეისის მოლოდინში ღამეც აეროპორტში გაათენეს, თუმცა, რეისის გაუქმებისა და გადადების მიზეზი მათთვის არავის აუხსნია.

აეროპორტის პრესსამსახურის ინფორმაციით, მგზავრებთან „ევროლაინის“ წარმომადგენლები არ გამოჩენილან.

ავიაკომპანია „ევროლაინის“ ხარკოვის მიმართულებით დაგეგმილი რეისის გაუქმების მიზეზი თვითმფრინავზე რეგლამენტური პროფილაქტიკური სამუშაოების დროულად ჩაუტარებლობაა. ამის შესახებ „ევროლაინში“ განაცხადეს.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– როგორ გექცევა ქმარი? – ეკითხება დედა შვილს გათხოვებიდან ორი თვის შემდეგ.

– შესანიშნავად, რაც უნდა ვთხოვო, ყველაფერს ყიდულობს ჩემთვის.



– ესე იგი, ცოტას სთხოვ!..

* * *

განსხვავება იმ გოგოს შორის, ვინც აქტიურად ეძებს ბიჭს და იმ ქალიშვილს შორის, რომელსაც უკვე ჰყავს საყვარელი, არის ის, რომ პირველი მათგანი ეძებს რაც შეიძლება გამომწვევ, სექსუალურ ტანსაცმელს, მეორე კი ისეთს, რომელსაც რაც შეიძლება იოლად და სწრაფად გაიხდის.

* * *

მივიდა ტიპი ექიმთან:

– იცით რა, მე ცისფერი ვარ! ხომ ვერ გამომიწერდით რაიმე წამალს ამის სამკურნალოდ?

– კი, ბატონო, აი, ეს წამალი გიშველით.

რამდენიმე დღის შემდეგ ის ტიპი ისევ მივიდა იმავე ექიმთან.

– ექიმო, ეს რა წამალი გამომიწერეთ? სამი დღე უნიტაზიდან ვერ ავდექი!

– ასეც იყო, საჭირო, დაიხსომე ნაგავო, რა დანიშნულებით უნდა იყენებდე უკანალს!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.